

K 62.627  
2 ov

1600000000  
2023/10/31



იურ. პლატონ გვარაშვილი

# ვენახების აღზება ნამუში ვაჭით



K62.62# 4593  
 1/13  
 200

K 62.627

ବେଳିଗୁଡ଼ିରାଟ୍. ମ୍ୟ-2-୧ ଲେ.  
ଲ୍ୟାନ୍ଡିନ୍ ଫ୍ଲେର୍, ନଂ ୩.  
ପ୍ରେସ୍. ୬୬୨. ଲିଙ୍କ. ୩୦୦୦.  
ମିତାବ୍ୟାଳିଟିର ୩୭୪.

## წინასიმზაობა.

მას შემდეგ რაც ჩვენში თავი იჩინა ვაზის საშინელმა მტერმი — ფილოქსერამ, რომელმაც მუსრი გაავლო და მთლიად გააჩანაგა ძველი უძყნობი ვენახები, აქაც ისე, როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, აღრევე შეუდგენ ვენახების აღდგენას ნამყენი ვაზის საშუალებით.

მაგრამ იმპერიალისტური და სამოქალაქო ომის დროს, ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის ეს უძვირფასესი შემოსავლიანი დარგი დაეცა და დაქვეითდა.

დღეს-კი ყველასათვის ცხადია, რომ იგი კვლავ გამობრუნდა და ალორძინების გზას ადგია.

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ უკვე კუდათ წელზე მეტია, რაც ჩვენში ნამყენი ვაზის საშუალებით შეუდგენ ვენახების აღდგენას, იშვიათია ისეთი მეურნეობა, სადაც ეს საქმე ყოველ მხრივ მიზანშეწონილად და შეცდომების გარეშე იყოს შესრულებული.

ეს ადვილი გასაგებილაა, ვინაიდან ჩვენი ბუნებრივი პირობები, მიწა-წყალი და ჰავა მრავალფეროვანია, ხოლო ამერიკული საძირე მეტისმეტად ფაქტი და მიზეზიანი.

ყოველივე ამის გამო დიდი ცოდნა და დაკარიტ-  
ვებაა საჭირო ვენახების გაშენების დროს, რომ ვაზ-  
მა იხეიროს და ღირსეულად დააჯილდოოს მევენა-  
ბის შრომა.

წინამდებარე წიგნაკის მიზანიც სწორედ ის არის,  
რომ ოდნავ მაინც გაუადვილოს ჩვენს სოფლის  
მეურნეს ამ არა-მარტივი ამოცანის გადაჭრა.

---

## სავენახე ნიადაგის ამორჩევა.

სანამ ვენახის გაშენებას შეუდგებოდეთ, საჭიროა ჯერ წინასწარ შესაფერ სავენახე ნიადაგის ამორჩევა და მისი შემოწმება, შემდეგ—კი ვაზის დარგვა მასში.

საერთოდ ვაზი ღონიერი და ძალიან ამტანი მცენარეა.

ამიტომაცაა, რომ იგი თავისუფლად ეგუება თითქმის ყოველ ნიადაგს.

ეს ვაზი კარგად ხეირობს: თიხნარ, ქვეთიხნარ, ქფიშნარ, ქფე-ნარსა და კირიან ნიადაგებზე.

ვაზი ბევრს არას თხოულობს ნიადაგისაგან, მას შეუძლია ცხოვრება ისეთ ფრიიალო კლდეზედაც, სადაც სხვა მცენარეებს სრულიად არ შეუძლია არსებობა.

ვაზი ვერ იტანს მხოლოდ მლაშე ნიადაგს. ჭაობიანი იდგილი მისთვის ხომ პირდაპირ სიკედილია.

აქედან ცხადია, რომ სავენახედ მრავალნაირი ნიადაგია გამოსადეგი. მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველანაირი ნიადაგი ერთნაირად როდი უხდება ვაზს. ის სხვადასხვა გავლენას ახდენს მოსავლის თეისებაზე და ხარისხზე.

ნოუიერ და მძიმე თიხნარ (აყალი) ნიადაგზე ვაზი ძალიან ხარობს, ტანი თამამად ეზრდება და მოსავალს თუმცა მეტს იძლევა, მაგრამ ლვინო მდარე დგება.

პირიქით, მჩატე, ფხვიერ და ქვიან მშრალ ნიადაგებში თუმცა ვაზი უფრო ულონო და ნაზია, მოსავალი ნაკლები იცის, სამაგიეროდ ლვინო საუკეთესო გამოდის.

სავენახე ადგილის ამორჩევის დროს უმი აერესი ყურადღება ადგილმდებარეობას უნდა მიექცეს, რაღან ამას დიდი გავლენა აქვს ვაზის მოსავლიანობაზე და ლვინის ხარისხზე.

საერთოდ შენიშნულია, რომ გაშლილ ვაკე-ადგილებში, ვაზი ლონივრად იზრდება, ლვინო-კი მდარე დგება. და თუ ასეთ ადგილებში წვრმები ხშირად იცის, სიმწიფეის დროს ყურძენს სიდამპლე და ჭია უჩნდება. ასეთ ადგილებში უმჯობესია გააშენოთ უმთავრესად დიდ-მოსავლიანი ჯიშები, ჩვეულებრივი ხარისხის ლვინის მისაღებად.

მაღლობები და გორაკები, საღაც ქარი ხშირია და ადრეც იცის აცივება, სავენახედ უვარგისია. ასეთ ადგილებში ვაზის უმძიმს ზრდა, მისი ნაყოფი ნაკლებ წვნიანი და შაქრიანი გამოდის და ვერც ასწრებს კარგად დამწიფებას.

მთისა და გორაკების კალთები, ძველათგანვე ცნობილია როგორც საუკეთესო სავენახე ადგილები.

მართალია, კალთებზე ნიადაგები ჩეცულებრივ  
ისეთი ღრმა და ნოჟიერი არ არის და ვაზი იმდენ  
მოსავალს ვერ იძლევა, როგორც ვაკე-ადგილებში,  
მაგრამ, სიმაგიეროდ, მოსავალი ყოველთვის უკეთე-  
სი იყის და ლვინოც ჩინებული გამოდის.

საზოგადოდ რომ ვსთქვათ, სავენახედ ისეთი  
ნიადაგია შესაფერი, რომელიც ფხვიერი, ფორვანი  
და მცირემოსავლიანია, თუ ამავე დროს მდებარეო-  
ბაც ფერდობი აქვს.

დიდი მნიშვნელობა აქვს ფერტუობის მიმართუ-  
ლებას, ყველაზე უკეთესი იქნება, თუ სავენახე  
ადგილს სამხრეთისაკენ ექნება მიმართულება (და-  
ქანება), რადგან ვაზი ასეთ მდგომარეობაში უფრო  
მეტი მზის სხივებით ისარგებლებს და არც გაზაფხუ-  
ლის ყინვებით მოიწვის.

ამის შემდეგ კარგია აგრეთვე სამხრეთ-დასაგ-  
ლეთის, სამხრეთ-აღმოსაფლეთის და დასაფლეთი-  
საკენ დაქანებული ფერდობი ადგილები.

აღმოსაფლეთისაკენ დაქანება სავენახედ უფ-  
რო შეუფერებელია მისთვის, რომ ასეთ ადგილებში  
ვენას ხშირად მოსწვავს ხოლმე გაზაფხულის ყინ-  
ვები.

ჩრდილოეთის მიმართულების ადგილები უმჯო-  
ბესია ისეთ კუთხეებში. სადაც ზაფხულობით დიდი  
სიცხეები დგება და ნაკლები წვიმა მოდის.

სავენახე ადგილის მდინარე წყალთან სიახლო-

ვეს თუმცა ზოგი სფეროს არა სასურველიად, მაგრამ  
არის ხოლმე წმინდა აუგილობრივი პირობები,. სა-  
დაც წყლის სიახლოვით ვერახები არას კარგავენ;  
წყალი გვალვიან ზაფხულზე ავრილებს და აზომიე-  
რებს ჰავას. ჩვენში, ხშირად, საუკეთესო ვენახები  
გაშენებულია მდინარეების მახლობლიად; ასეთებია,  
მაგ., ყვრილის, რიონის და ალაზნის მიღამოები.

ტყის სიახლოებე სავენახე ადგილისათვის მი-  
ტომ არაა სასურველი, რომ ტყე ხელს უწყობს ვა-  
ზის სხვადასხვა მავნებლების გავრცელებას.

მეორე მხრივ ტყე სასარგებლოცაა მით, რომ  
ვენახს იფარავს მძლავრი ქარებისაგან და აზომიერებს  
ჰავის პირობებს.

ვინაიდან ვაზი მჩატე, ულონო ნიადაგსაც კარ-  
გად ეგუება, ამიტომ უმჯობესი იქნება, რომ ვენახი  
გაშენდეს მხოლოდ ასეთ ნიადაგზე, რაც საშუალე-  
ბას მოგვცემს მეურნეობაში ყველა გამოუსადევარი  
ადგილი გამოვიყენოთ, ვაკე და უფრო შავი, ნო-  
ყიერი ნიადაგი-კი სხვა სასარგებლო მცენარეებს  
დაუთმოთ, როგორც, მაგალითად პურეულები: პუ-  
რი, სიმინდი, შვრია და სხვა.

## სავენახე ინადაგის შემოწმება.

ვენახშა რომ კარგად იხაროს, დიდხანს იცხოვ-  
როს და მეტი მოსიველი მოიტანოს საჭიროა სავე-  
ნახის ამორჩევის შემდეგ, რაც შეიძლება კარგად  
გაისინჯოს ადგილი და ისე გაშენდეს მასში ვაზი.

ჩვენში, საერთოდ, მეტ წილიდ მთაგორიანი  
ადგილებია და ამიტომ სავენახე ნიადაგიც სხვადასხვა  
ალაგის სულ სხვადასხვა ღირსებისაა.

ხშირია ისეთი შემთხვევა, რომ ერთსა და იმავე  
სავენახე ადგილში თქვენ შეხვდებით როგორც ქვი-  
შიანს, ისე თიხნარს და ალაგ-ალაგ კირნარსაც; ზო-  
გან ნიადაგი ნესტიანია, ზოგან-კი მშრალი.

აი ამ სხვადასხვა შემადგენლობისა ჯა თვისე-  
ბის ნიადაგებს თავისი შესაფერისი ამერიკულ მწარე  
ლერწზე დამყნილი ვაზი უნდა შეურჩიოთ ხოლმე;  
წინააღმდეგ შემთხვევაში ვაზი დაიჩაგრება, დაავად-  
დება, მოსავალს თანდათან მოუკლებს და ველარც  
ხანგრძლივად იარსებებს.

ნიადაგის შემოწმება შეიძლება როგორც ყა-  
მირში, ისე ორპირად გადაბრუნებულ ადვილშინია-  
დაგის ნიმუშის ამოღებით; ბევრად უმჯობესია ყამი-  
რის გასინჯვა.



როდესაც სავენახე ადგილი ერთგვარია, უნდა მიმუშო.  
შესაბამის ადგილიდან აიღოთ ნიადაგის მარტო ერთი  
ნიმუში.

იმ შემთხვევაში-კი, თუ სავენახე ადგილი ნაირ-  
ნაირია, სხვადასხვა ადგილიდან ცალკ-ცალკე უნდა  
აიღოთ ნიმუში იმდენი, რამდენ-ნაირიც ნიადაგია.

ნიადაგის ნიმუშს აიღებთ ასე: ჯერ მონიშნავთ  
ასალებ ადგილებს, შემდეგ ამოთხრით ორმოებს  
26 27 გოჯის სილრმეზე და 9-10 გოჯის სიფართე-  
ზე; ორმოს ერთი მხარე უნდა იქნეს შვეული, სი-  
დანაც აიღება ნიმუში.

მაშინვე, სანამ ორმოს ეს მხარეები შეუშრებო-  
დეს და ჩაენგრეოდეს, შეუდგებით მის შემოწმებას.


ამ ორმოს შვეულ მხარეს რომ დაკვირდეთ,  
აშეარად შეამჩნევთ რამდენსამე სხვადასხვა აგებულე-  
ბისა უა ფერის ფენებს.

ზოგან ფენები დიდად განსხვავდებიან ერთმა-  
ნეთისაგან, ზოგან-კი ეს განსხვავება ძნელი შესამ-  
ჩნევია.

შვეული მხარის თავზე ჯერ აიღებთ ნიჩბით ნა-  
ხევარ გოჯზე ნეშომპალს და გადაყრით მას გვერდ-  
ზე; მის ქვეშ მდებარე ფენი-კი იქნება ნიადაგის ზე-  
დაფენი. ის უნდა აიღოთ ერთი ბარის სიფართეზე,  
ორი გოჯის სისქეზე და ოთხი გოჯის სილრმეზე,  
შემოსკრით ყოველ გვერდით და გამოიღებთ ბარით.  
დაახლოვებით სამ გირვანქამდე.

ასეთივე წესით აიღებთ ნიმუშს ქვენიადაგიდანაც. აღებულ ნიმუშს, თუ რამ ქვა, ქვიშა, ფესვები ან სხვა რამ შერეული ექნეს, ნუ მოაშორებთ.

აღებული ნიმუშები ერთმანეთში არ უნდა აურიოთ; თვითეული – ცალკ-ცალკე გახვიეთ ორ-ორ-ჯერ სუფთა ქალალდში, ზედ წააწერეთ და ისე ჩაიწყვეთ საამისოდ მოწყობილ ტილოს პაწია ტომსიკაში (იხ. სურ, 1). ბარათში ჩაიწერება: გვარი და სახელი სავენახე აღვილის მეპატრონისა, მაზრა, თემი, სოფელი, აღვილმდებარეობაა, რა სილრმიდანა ამო-



სურ. 1.

ნიადაგის აგებულება: 5 — ნიადაგის ზედა პირი, 6 — განდამავალი ფენი ქვენიადაგიდან, 8 — ქვენიადაგი.

დებული ნიმუში, ფენა, მისი ფერი და აგებულება, გადაბრუნებულია ნაკვეთი თუ ყამირი, ნოტიოა აღ- ვილი თუ არა, და აგრეთვე დრო ნიმუშის ალებისა.

ამგვარად აღებული ნიმუში უნდა გადაეგზავ- ნოს გამოსაკვლევად საცდელ სადგურს სოფ. საქა- რაში (იმერეთი), ანუ ურიათ უბანში (კახეთი), სა- დაც დაწვრილებით გასინჯავენ და შეამოწმებენ მას შემდეგ-კი ამცნობენ, თუ როგორია სავენახე ნია- დავი და რომელი ამერიკული ჯიშის ვაზი უფრო გამოსადევი და წესაფერისი იქნება საძირედ.

## მამულის შემოღობა.

როცა ამოარჩევთ სავენახე ადგილს, მაშინვე უნდა შეუდგეთ მის შემოღობვის.

ლობის გასაკეთებლად საუკეთესო დრო გვიან შემოღვომაა, რაღაც მუშა ხელი ამ დროს უფროა მოცულილი ამ საქმისათვის.

სხვადასხვა პირობებში შემოსალობავად სულ სხვადასხვა მასალები იხმარება:

მთა-გორიან ადგილებში, სადაც ქვა საქმიოდ იშოვება, ვენახი უმჯობესია ყორით შემოილობოს. ყორის ასაშენებლად მოზრდილი ქვები ან მშრალად უნდა შეალაგოთ და დააწყოთ ერთი-მეორეზე, ან კირით უნდა შელესოთ და გაამაგროთ.

ერთხელ რიგიანად გაკეთებული ისეთი ყორე სამუდამოა.

იქ-კი, სადაც ქვა არ იშოვება და კარგი ტყი ახლოსაა, ვენახი ან ხიმით უნდა შემოილობოს, ან და მუხის ანუ წაბლის სარებზე ვადალობილ შეერის წნელით.

შეერის ლობე თამამად სძლებს 13-15 წლამდე. ძალიან კარგია სალობავად იგრეთვე სხვადასხვა ხის ჯიშის მესრები (ანუ მსხვილი სარები), როგორც,



მაგ., დაპობილი მუხის, წაბლის, ბერლისა (თურქული განვითარებული და აკაციის ხისა.

ახალ-მოზარდი, უგულო ხის სარები აღრე ლპება და ამიტომ ლობისათვის უვარგისია.

ხუთ წელიწადზე შეტი ხნის გულიანი სარები შეტი გამძლეა და ამისათვის უფრო გამოსაღევია ლობისათვის.

დასისობად არჩეულ სარებს ჯერ უნდა წაუთალოთ თავები. შემდეგ კი ან ცეცხლზე მორუჯავთ ან და კუპრში ამოვლებთ წათლილი თავებით.

კუპრში ამოსავლებად სამჯობინოა მხოლოდ ხმელი სარები რომლებიც რამდენიმე წუთით უნდა ჩაიწყოთ მომთბარ კუპრში.

არ ვარგა კუპრში ნედლი სარების ამოვლება, რადგან კუპრი ხელს უშლის მათ გაშრობა გახმობას და მერქანსაც ულპობს.

ხის კუპრი, როგორც უფრო სქელი მასალა, სარების ამოსავლებად გამოუსაღევარია; ჭივა-ნახშირის კუპრი ბევრად უკეთესია.

წარუჯული ან კუპრში ამოვლებული სარები ისე უნდა დაასოთ ხოლმე, რომ წათლილი თავები მიწით არ დაიფაროს მთლიანიდ, რადგან სარები მიწის ზედაპირთან უფრო აღრე ლპება, ვიდრე ლრმად მიწაში.

დიდი გამძლეა აგრეთვე შაბიამანის სითხეში ამოვლებული და გაუღენთილი სარებიც.



მაგრამ, შებიამანის ხსნილში უნდა აჩვინებული მარტო ახლად დამზადებული ნედლი სარები და არა ხმელი — ძველი სარები.

ისეთი გამძლე ჯიშებისათვის, ოოგორიცაა: მუხა, წაბლი და აკაცია, სითხე უნდა აიღოთ  $2^0/0$  სიმაგრის (ე. ი. ორ ფუთ ნახევარ წყალზე — 2 გირვანჭა შებიამანი).

სუსტი ჯიშის სარებისათვის-კი, უფრო მაგარი შებიამანის ხსნილს შეაზიერებთ, — დაახლოებით  $6^0/0$ -იანს (ორ ფუთ ნახევარ წყალზე აიღებთ 6 გირვანჭა შებიამანს).

ამგვარად შეჩავებულ სითხეში წათლილი თავებით ჩაიწყობთ სარებს 1-3 კვირამდე, — უმჯობესია მზიან ამინდებში.

ალვის ხის, ტირიფისა და ვერხვის სარები, რადგან სხვა ჯიშებზე უფრო მაღლე იქლენთება, შებიამანის სითხეში ერთი კვირის განმავლობაში უნდა დარჩეს.

წიფელა, რცხილა, თელა, მუხა, წაბლი და კოპიტი (იფნი) ასეთ სითხეში ორ კვირას მაინც უნდა დარჩეს.

მხოლოდ ფიჭვი და აკაცია, ოოგორიცა ყველაზე უფრო ძნელად მიმღები და გამტარებელი სითხისა, უმჯობესია სამ კვირამდეც იყოს სითხეში ჩაწყობილი.

წათლილი თავებით სითხეში ჩაწყობილი ნედლი სარები მზის საშუალებით აორთქლებენ თავის



წვენს და სამაგიეროდ მიიღებენ და გაიქცენთ შემნიშვნელის  
შებინამნის სითხით, რაც დაიფარავს მათ მომავალში  
დალპობისაგან.

იმნიკრად დამზადებული სარები გამძლეობით  
ალარც კი ჩამოუვარდებიან მუხისას.

თუ ხმელი სარები გაქვთ შებინამნით გასაკეთე-  
ბელი, მაშინ უმჯობესია იგი ძალიან გამოიხარშოს  
ასეთ ხსნილში, რომ უფრო გაიქცენთოს.

ძალიან კარგი იქნება, თუ ყორისა და წნელის  
ლობეებზე ზევიდან გადაავლებთ კიდევ ეკალს, რაც  
ხელს შეუშლის უწესოდ მასზე გადასცლა გადმო-  
სცლას.

ვენახის შემოლობვა შეიძლება აგრეთვე არხით  
და ეკლიანი მავთულითაც.

მხოლოდ მავთულის მთავარი ნაკლი იმაშია,  
რომ იგი გოჭებსა და შინაურ ფრინველებს ვერ იკა-  
ვებს და ხშირად ესაჭიროება ხოლმე დაჭიმვა — შესწო-  
რება. ყველაფერს სჯობია სტე ანუ ცოცხალი ლობე,  
ესე იგი, როცა ვენახს შემოურგავთ ისეთ მცენარე-  
ებს, რომელიც მჭიდროდ იზრდება, ეკლები იქვს და  
ვერც საქონელი ეკარება, ვერც ადამიანი გავი შიგ.

ასეთი მცენარეები ბევრნაირია: გარეული  
(„ხამფოთლიანი“) ლიმონი, გლედიჩი, ცრუ ფორ-  
თოხალი, კოწახური, კერინჩხი, კუნელა; ბრო-  
ნეული, ტყემალი და სხვა.



მიწის გადაპრუნება.

მიწის გადაბრუნებამდე სავენახე აღვილში ჯერ  
გზები უნდა გაიყვანოთ.

თუ ადგილი ვაკეა და მოზრდილი, უკეთესია  
ჯვარედინად გზების გაყვანა; — თუ ფერდობია მაშინ  
კი უმჯობესია დაკეცილი, მიხრილ-მოხრილი გზები.  
მხოლოდ გზის უნდა ექნეს არა ნაკლები საში არში-  
ნის სიფართე.

ამის შემდეგ შეუდგებით მიწის გადაბრუნებას.

ნამყენი ვაზით კარგი ვენახი გაშენდება მხოლოდ გადაბრუნებულ და რიგიანად შემზადებულ მიწისე.

სავენახე ადგილი უნდა გადაბრუნდეს: შემოდ-  
გომაზე, ზამთარში ან ადრე გაზაფხულზე. უკი-  
თესია შემოდგომაზე. ამ დროს მიწაც ზომიერადაა  
დანოტიებული და მუშა ხელიც უფრო მოცულილია.

სამუშაოდ შეძლებისა-და-გვარად უნდა შეარჩიოთ კარგი და მყუდრო ამინდი, როცა მიწა საკმიანვადაა შემშრალი. წვიმაში ამ **ცოდნების უნდა მუშაობას** უნდა ერისოთ. ცუდ **არის მუშაობა გარემონტის** ნებული მიწა წესიერად ვერ დამატებით გადატანა მიზანის გრძელება, გამაგრდება).



ყველანაირ ნიადაგის ერთსა და იმაუკუთრისას  
გადაბრუნება არ გამოდგება.

თუ სავენახე ადგილი მძიმე – ძარღვიანი თიხნა-  
რია, უმჯობესია იგი შემოდგომაზე გადაბრუნოთ.  
ამ დროს გადაბრუნებული ნიადაგი ზამთრის განმავ-  
ლობაში ყინვებისა და ჰავის ცვალებადობის გამო  
დაიშლება და გაიცლენთება ნესტით.

თუ ნიადაგი ქვიშნარია და ფხვეირი, მაშინ მი-  
სი გადაბრუნება უფრო გვიანაც შეიძლება. ასეთი  
ნიადაგი უნდა გადააბრუნოთ ზამთრის დამლევს, ან  
აღრე გაზაფხულზე, მხოლოდ ორი ან სამი კვირით  
აღრე ვაზის დარგვამდე, რომ ნიადაგმა დაჯდომა და  
დასვენება მოასწროს.

ჰავისა და ადგილმდებარეობის მიხედვით სავე-  
ნახე ნიადაგი სხვადასხვა სილრმეზე უნდა გადაბ-  
რუნოთ.

მშრალი ფერდობები უმჯობესია • ერთი არშინის  
სილრმეზე გადაბრუნდეს; ციცაბო ფერდობები კი  
უფრო ღრმათაც.

გაშლილსა და ვაკე ნესტიან ადგილებში თორ-  
მეტ გოჯზედაც სრულიად საკმაოა ნიადაგის გად-  
ბრუნება.

საერთოდ, ვაკე-ალავებში სავენახე ნიადაგი სამ  
ჩარექწე უნდა გადაბრუნდეს, ფერდობები-კი უფრო  
ღრმად, რაღვან ფერდობების ნიადაგი დამუშავებისა  
და ნალექების გამო მაინც ჩამოირეცხება, „დაიწევს



და დადაბლდება. ძლიერ ციცაბო ფერდობებზე, ცუკლების  
დაც გადაბრუნებული ნიადაგი თავს ვერ დაიქრეს  
და დაცურდება, გადაბრუნების დროს ყოველ ექვს  
ან რვა საენზე, მთელი ნაკვეთის გასწვრივ, უნდა  
დასტოვოთ ერთი არშინის ან არშინ ნახევარი სიგა-  
ნის დაუბარავი ნიადაგი ანუ ხტულები. ეს ხტულე-  
ბი შეაკავებენ გადაბრუნებულ ნიადაგს და დაითარა-  
ვენ მას წვიმა-ნიალვრების დროს ჩამორეცხისაგან.

ნიადაგის გადაბრუნება შეიძლება უბრალო და  
ორთქლის გუთნებით; ამ შემთხევები ერთი გუთანი  
წინ მიღის და ნიადაგს აბრუნებს შვილ-რვა გოჯზე,  
მეორე-კი იმავე კვალში უკან მიყვება და აღრმავებს  
ხუთ-ექვს გოჯამდე.

მაგრამ ყველას სჯობია ხელით გადაბარვა.

ნიადაგის ამგვარად გადასარუნების დროს საჭი-  
როა იქნიოთ: კარგი მჭრელი ბარი, წერაქვი, მიწის  
ამოსაყრელი მოღუნული რეინის ნიჩაბი, თოხი, ლა-  
რი, ცული (ნაჯახი), წალდი, საზომი ჯოხი და ლომი.

სანამ გადაბრუნებას შეუდგებოდეთ, ჯერ უნდა  
კარგად დოვათვალიეროთ ადგილის მოყვანილობა და  
თუ სადმე ოლრო-ჩოლრო შენიშნოთ, უსათუოდ  
უნდა შეისწოროთ და ამოავსოთ მიწით.

თუ დასამუშავებელ ადგილზე ჩირგვები და სხვა  
ამგვარი მცენარეებია, უნდა მოსკრით და აილოთ.  
მხოლოდ ამის შემდეგ უნდა შეუდგეთ ნიადაგის გა-  
დაბრუნებას.



მუშაობას დაიწყებთ აღგილის ქვემოდან პირველად  
თვისაც სწორი ხაზების გაელებით მთელ ნაკვეთს  
დაპყოფთ თითო არშინის სიგანის ნაკრებად. ჯერ  
პირველი ნაკრიდან აიღებთ პირველ ფენს და დაყრით  
მის წინ. მერე მეორე ფენს ამოიღებთ უა დააყრით  
ზეფიდან წინათ ამოღებულ პირველ ფენს.

როცა პირველ თხრილს ამოიღებთ საკირო  
სილრმეზე, დაიწყებთ მეორე თხრილის ამოღებას. მე-  
ორე თხრილის ზედაფენს ჩაყრით პირველ თხრილში  
და ზევიდან დააყრით მეორე თხრილის შემდეგ ფენს.  
ამგვარად პირველი თხრილი აიგსება მეორე თხრი-  
ლის მიწით.

ასე განაგრძობთ მუშაობას მანამ, სანამ სულ  
არ მოათავებთ მთელი აღგილის გადაბრუნებას.

უნდა ეცადოთ, რომ თხრილები თანაბარი სილ-  
რმისა იყოს; წინააღმდეგ შემთხვევაში დამუშავებული  
მიწის ზედაპირი უსწორ-მასწორი დარჩება.


უკანასკნელი თხრილი თუმცა ცარიელი დარ-  
ჩება, მაგრამ დაბოლოს ისიც აუცილებლად უნდა  
ამოავსოთ პირველი თხრილიდან ამოღებული ნაკვე-  
თის გარეთ დაყრილი მიწით, რომელსაც ურმით ან  
ჯინებით მიიტანთ.

ამ წესით მუშაობა მისაღებია უფრო ფერდობ  
აღგილებზე.

თუ აღგილი ვაკეა, მას ჯერ დაპყოფთ წყვილ-  
წყვილ გასწვრივ ნაკვეთებად. ერთ ნაკვეთს ერთი

მხრიდან გადააბრუნებთ, მეორეს-კი მეორე მხრიდან.

დაბოლოს, ნაკვეთის თავსა და მოლოში დარჩენილ ცარიელ თხრილებს ერთი-მეორის მიწით აავსებთ თავამდე (იხ. სურ. 2, 3).




სურ. 2.

მიწის გადაბრუნება. ა. ბ. გ. დ. ვაკე ადგილის ნაკვეთია გადაბრუნებული; I. II. III. IV. გასწვრივ დაყოფილი პატარა ნაკვეთებია. ა-1 ა-II ა-III ა-IV პირველი გადაბრუნებული კვლები; ა-1 ა-II ა-III ა-IV — პირველი კვლებიდან ამოღებული მიწა და გადაყრილი ნაკვეთს გარეთ; WW — ყოველი ნაკვეთების უკანასკნელი კვალი.

ქვიშნარების გადაბრუნების დროს კარგი იქნება თუ მიისის ხოჭოს მატლებსაც ამობოჭავთ ნიაღა-

გიდან და დახოცავთ. ხოჭო ხრავს ამერიკულ რეებს და დიდ ზარალს აყენებს ნამყენებს.



სურ. 3.

წესი მიწის გადაბრუნებისა. აა— მარჯვნივ— ზედაფენი ნიაღაგის; ბბ მარჯვნივ— მეორე ფენი; სს მარცხნივ— ზედაფენი ნიაღაგისა ძირში ჩაყრილი; ბბ მარცხნივ— მეორე ფენი ზედაფენზე დაყრილი.

თუ თხრილების ამოლების ღროს მიწაში ჯირკვებს, ფესვებს, ქვას და ყრიეს შეხვდებით, უსა-

თუ თუ უნდა ამოყაროთ ზევით, მოაგროვოთ ერთ ადგილას და ვენახს გარეთ გაიტანოთ.

თუ ადგილი ნესტვარბია, საკიროა არხებით მისი დაწრეტა. უამისოდ ასეთ ადგილებში ყოველ-თვის უნდა ერიდოთ ვენახის გაშენებას. ამისთანა ნიაუაგში ვაზი ან სულ ვერ იხეირებს, ან და, თუ იხეირა, ყურქენს უაისხამს მეტისმეტად წყლიანსა და უგემურს; სოფოს ავადმყოფობაც უფრო დას-ჩაგრავს მას და ზამთრის სუსსიც იოლად დააზიანებს.

სავენახე ადგილის ნესტიანობის გამოსაკვლე-ვად წლის სხვადასხვა დროს (ზაფხულს გარდა), სხვა-დასხვა ადგილას უნდა ამოიღოთ ერთი მეტრის სიღ-რმის ორმოები; დააცადოთ ერთ დღე და ლამეს მაინც, რომ ორმოებში წყალი მოგროვდეს.

მეორე დღეს თუ შენიშნავთ, რომ წყალშა ორ-მო გაავსოთ თავიმდე, ადგილი ძალიან ნესტიანი ყო-ფილა და გამოშრობას თხოულობს; უამისოდ მასში ვაზი ვერ გაიხარებს.

თუ ორმოში იმდენი წყალი ჩადგა, რომ მის ზედა პირიდან ნიადაგის ზევითა პირამდე ნახევარი მეტრი-ლა რჩება, მაშინაც უმჯობესია ნიადაგი გა-მოშრობილ იქნას.

იმ შემთხვევაში კი, თუ წყალი ორმოში ნია-დაგის ზედა პირიდან სამ მეოთხედ, მეტრზე ან უფრო დაბლა სდგას გრილ დღეებშიაც, მაშინ ასეთი ნია-



დაგი ნესტიან-ჭაობიანი არაა და ოლარც ჭავჭავაშვილის  
თხოულობს.

დაკვირვება უნდა სწარმოებდეს მხოლოდ კარგ-  
სა და მშრალ ამინდებში და არა ვრილსა და ჭინ-  
ჭულიანში.

როდესაც ქვენიადავის წყალი მიწის ზეფითა პირ-  
თან ახლოსაა, საკმაოა მისი სათავის მონახვა და ლია  
არხებით ძირს დაქანება.


თუ წყალი ახლოს არაა მიწის პირთან, მაშინ  
ადგილი უნდა დაიწრიტოს მთელი რიგი დახურული  
არხებით. ამისათვის ჯერ უნდა ამოილოთ მთავარი  
არხი ადგილის დაქანების მიმართულებით. შემდევ ამ  
მთავარ არხს ორივე მხრივ კიდევ უნდა მოუწყოთ  
დამხმარე გვერდის არხები, რომლებიც ყოველ მხრი-  
დან მოიკრებენ წყალს და გადასცემენ მას მთავარ  
არხს (იხ. სურ. № 4).

ნიადაგის მრხედვით არხები სხვადასხვა სილრმე-  
ზე უნდა ამოიკრას, მსუბუქ ქვიშნარებში შესაძლოა  
უფრო ნაკლებ სილრმეზე გაიკრას არხები, მძიმე  
თიხნარებში კი — რაც შეიძლება ღრმად.

ქვიშნარების დასაწრეტად საკმაოა არშინ-ნახევ-  
რის სილრმის არხის გავლება; ქვეთიხნარისათვის ორი  
არშინი ჩარექ-ნაკლები უა თიხნარისთვის კი არა-  
ნაკლებ ორი არშინისა.

საწრეტმა არხებმა რომ ადგილი ტყულილად არ  
მოაცდინონ, საჭიროა მათი მიწით დაფარვა, რაც


ଏସେ ପ୍ରେତଦୟରେତୁ: ଲୋକ୍ୟରେଖାରୁ ଅମ୍ବଳାଙ୍ଗରେତୁ ସାହିତ୍ୟର ସିଲାରମିଳି



ଚିତ୍ର. 4.

ଶାଖକୁ ଆରକ୍ଷତା କିମ୍ବା କ୍ରେତା. ଧରି—ମତାଫାରିକ ଆରକ୍ଷି, ଥି—ଗ୍ରେନ୍-  
ଡିକ୍ ଆରକ୍ଷିକି.

არხს, რომლის სიგანე არშინს ან სამ ჩარექს უნდა  
 უდრიდეს, ძირში ჩაუყრით მოზრდილ პრტყელ-  
 პრტყელ ქვებს ოთხკუთხურად ან სამკუთხურად,  
 მასზე დააყრით წვრილ ქვებსა და ხვინჭვებს, არხის  
 დანარჩენ ნაწილს კი ამოავსებთ პირამდე მიწით (იხ.  
 სურ. 5, 6, 7).



სურ. 5.


დანურული ოთხკუთხური ქვებისაგან გაკეთებული  
 საწრეტი არხი.

იქ, საღაც ქვა არ იშოვება, საწრეტი არხი  
 უბრალო წნელით ან წამლითაც შეიძლება გაკეთდეს.

ամուսացով զատերուող առեւս մոռնի, յշտո-մյուրացից  
սամո հարցյուն մոռնուրացիուն չարելունակ լապակած չըր




նոր. 6.



նոր. 7.


Տամպուտակուրո գոռնիուս Տամպուտո առեծո.

მსხვილ ჯოხებს, შემდეგ მასზე ზევიუინ დააწყობთ  
წნელის კონებს, დააყრით ორ გოჯზე ნეშომპალს  
და ამოავსებთ მიწით (იხ. სურ. 8, 9).



სურ. 8.

ჯვარედინ სარებზე წყნელით გაკეთებული დახურული  
არჩი.



სურ. 9.

უსაროდ გაკეთებული დახურული არჩი.

რაც შეეხება არხებს შორის მანძილს, ეს და-  
 მოიდებულია თვით არხის სიღრმეზე. რაც უფრო  
 ღრმად იქნება არხები გაკრილი, მით უფრო მეტი  
 არე დაიწრიტება მის ახლო-მახლო, მაშასადამე, არ-  
 ხებიც უფრო შორი-შორს უნდა იყოს ერთმანეთზე  
 დაცილებული.

მრავალი ცდებით დამტკიცებულია რომ, რო-  
 გესაც არხი არშინ-ნახევარის სიღრმეზეა გაკრილი,  
 შაშინ, როგორც გვერდის თხრილები, ისე მთავარი  
 არხები დაშორებული უნდა იყოს ერთი-მეორეზე:  
 1) მძიმე აყალოში ანუ თიხნარში 6 საექნზე; 2)  
 ქვეთიხნარში — 7 საექნზე, 3) ქვიშნარში — 10 საექნ-  
 ზე და, ლოროიან ქვექვიშნარში — 12 საექნზე. ამ-  
 გვარად დამუშავებული და შემზადებული ნიადაგი  
 საუკეთესო პირობაა ყოველგვარი ნერგის ნორჩი  
 ფესვების განვითარებისათვის.

## უძრავი გენერაცია დაცვა მდლავრი წვიმებისაგან.

ჩვენში საუკეთესო ვენახები მეტნაწილად გაშენებულია მთაგორიან აღვილებში, დაქანებებზე.

ასეთ აღვილებში ზაფხულის შხაპუნა ღიღი წვიმები ხშირად საშინელ ზარალს აყენებს ხოლმე ვენახებს; დაკრული წვიმის ნაკალულები რეცხავს და ლარავს ნიადაგის პირს და საკმაო სილრმეზე აშიშვლებს ხოლმე ვაზის ფესვებს; ვაზი ასეთ გარემოებაში ძალიან წუხდება და იჩიგრება. ამიტომ ასეთ აღვილებში სავენახეს აუცილებლად ესაჭიროება გამაგრება.


ნიადაგის გამაგრება შეიძლება ხტუნებით ანუ ხელოვნურად მოვაკებულ მალლობებით (იხ. სურ. 10).

მაგრამ ლია არხებით გამაგრება-კი გაცილებით უკეთესია (იხ. სურ. 11).

აღვილის დაქანებისა და ნიადაგის თვისებების მიხედვით წყლის შემკავებელი არხები სხვადასხვა მანძილზე უნდა იქნეს ერთი-მეორეზე დაცილებული.

რაც უფრო მეტი დაქანება ექნება აღვილს, მით ნაკლებად შეისვამს და დაიკერს წვიმის წყალს მიწა. ამისთვის არხები ასეთ შემთხვევაში ახლო-ახლოს უნდა გაავლოთ; პირიქით, თუ აღვილი მცირედაა

დაქანებული, მაშინ არხებიც უფრო უნდა დააშო.  
როთ ერთი-მეორეს.



სურ. 10.

ფერდობის ვენახი, მოვაკებული მაღლობებით.

ძარღვიანი თიხნარები და დაუმუშავებელი მა-  
გარი ნიადაგები ნაკლებ ისვამენ წყიმის წყალს. ასეთ  
აღგილებში არხები უფრო ახლო-ახლოს უნდა გი-



სურ. 11.

წულის გასაყვანი არხები ანუ კვალები.

ყვანოთ. ახლად გადაბრუნებული, ფხვიერი და ქვა-  
ნარევი ნიადაგები კი, მეტად ისრუტავენ წყალს; ამი-  
სთვისაა, რომ ასეთ ალაგებში ერთი-მეორის მოშო-  
რებით გაავლებენ ხოლმე არხებს.

სხვადასხვა დაქანებისა და ნიადაგის თვისებების მიხედვით წყლის შემკავებელ არხებს ერთი მეორეზე შემდეგნაირად დააშორებთ.

I. 10<sup>0</sup>-ს მცირე დაქანების ოდგილზე: მძიმე თიხნარში — 60 საეკნზე, მჩატე და ფხვიერში — 80 საე. და ხვინჭკნარ-ქვიშნარებში — 80 საე.

II. 20<sup>0</sup>-ს ზომიერ დაქანებაზე: მძიმე თიხნარში — 30 საე., ფხვიერში — 50 საე., და ქვიშნარში — 80 საე.

III. 30<sup>0</sup>-ს ღიდ დაქანებაზე: მძიმე თიხნარში — 30 საე., და ქვიშნარში — 50 საე.

IV. 4<sup>0</sup>-ს ურიალა დაქანებაზე; მძიმე თიხნარში — 10 საე., ფხვიერში — 25 საე., და ქვიშნარში — 30 საეკნზე.

არხები უნდა გაიკრის ისეთ სიღრმეზე, რომ დაკრული, უცუარი ღიდი წვიმების დროსაც კი არ გადადიოდეს მის ნაპირზე წყალი.

არხი ისე უნდა მოეწყოს, რომ თავის შუა ოდგილიდან რაც შეიძლება მკირე დაქანებით მიემართებოდეს ორივე გვერდებისაკენ.

ეს მისთვისაა, საჭირო, რომ ოდნავად დაქანებულ არხში წვიმის წყალი ჩქარა აღარ დაეშვება, იოლად ველარ გაიტანს ვენახიდან ჩამორეცხილ მიწას და იქვე ძირში დალექავს.

ოცდათი საეკნი სიგრძის არხის დაქანება არ



უნდა აღემატებოდეს ნახევარი არშინიდან სპეციალურობა  
თხედ არშინამდე.

ის-კი აღსანიშნავია, რომ ყოველი წვიმის შემ-  
დეგ მიწით ავსილი არხები აუცილებლად უნდა  
ამოიწმინდოს და გასუფთავდეს ხოლმე; ამოღებული  
მიწის ნალექი, რაც შეიძლება თანაბრად, უნდა მოე-  
ყაროს და განაწილდეს ქვემდებარე მიწის ზევითა  
პირზე, რომ მითი რამოდენიმედ მაინც შეივსოს ის  
დანაკლისი, რასაც წვიმის ნაკადულები ამ აღვილს  
აყენებენ.

---

## 31%ის ჯიშის ამონჩევა.

ახალი ვენახის გაშენების დროს ვაზას ჯიშის შერჩევას დიდი ყირადლება უნდა მიექცეს.

ვენახი მხოლოდ მაშინ იქნება სრული შემოსავლიანი, როცა მასში შესაფერის ჯიშებს გააშენებთ.

ჩვენს სავენახე კუთხეებში, როგორც იმერეთში, ისე ქართლ-კახეთში მრავალი ადგილობრივი საღვინე ჯიშებია გავრცელებული, რომლებიც აშკარად განირჩევიან ერთი—მეორესაგან, როგორც გარეგნული შეხედულობით, აგრეთვე ნაყოფის გემოთი, ღვინის ხარისხით და მოსავლიანობით.

ამ ჯიშებიდან მევენახემ ისეთები უნდა აირჩიოს და გააშენოს, რომლებიც მას მუდმივ საკმაო, თანაბარს და საუკეთესო ხარისხის მოსავალს მისცემენ.

ასეთია იმერეთში ყველაზე უფრო ცნობილი და გავრცელებული შემდეგი საღვინე ვაზის ჯიშები თეთრებში: ციცქა, კრახუნა, ცოლიკაური და ქრისტეური.

შავებში: ოცხანური, მაჩანოური, საფერე და ძველშავი.

რაჭაში—ალექსანდრული (შავი).



კახეთში — განთქმულია თეთრი ჯიშების გამწვდიდობა  
ნე და რქა წითელი; შავ ჯიშებში კი, ყველა-  
სათვის ცნობილი, საფერავი.

ყველა დასახელებული ჯიშები აღგილობრივ  
ბუნებრივ პირობებს საუკუნეებით არიან შეგუებუ-  
ლი და ამიტომაც აღგილობრივ პირობებში უკეთეს  
შედეგს იძლევიან, როგორც ამტანობით, ისე მო-  
სავლიანობის და ლვინის ლირსების მხრივ.

ძალიან სარიდოა უცხო ჯიშების შემოტანა და  
მათი გავრცელება, როგორც ეს ბევრ მევენახეს  
სჩვევია ჩვენში.

რადგან ხშირ შემთხვევაში ასეთი ვაზები უცხო  
პირობებს ვერ იტანენ, მალე იჩაგრებიან და მოსავალსაც  
გაცილებით უფრო მცირეს და მდარეს იძლევიან,  
გამონაკლისად ამ დებულებიდან შეიძლება აღინი-  
შნოს. ალიგოტე და კაბერნე, რომელთაგან პირ-  
ველი მუხრანში, ხოლო მეორე თელიანში საუკე-  
თესო ხარისხის ლვინოს იძლევიან.

ჩვენში ბევრგან გავრცელებულია აგრეთვე პირ-  
დაპირ მოსავლის მომცემი უცხო ვაზის პიბრიდები,  
რომელნიც ფილოქსერსაც უძლებენ და ნაყოფსაც  
იძლევიან. მაგრამ ვინაიდან მათი ლვინო ჩვენი ჯი-  
შების ლვინოებთან შედარებით ბევრად მდარეა ხა-  
რისხით, ამიტომ ჩვენმა მევენახეებმა მაზე ხელი უნ-  
და აიღონ.

ეს ჯიშები მისაღებია მხოლოდ ისეთ მაღალ და



ცივ ადგილში, სადაც ჩვენი ჯიშები ვერ ასწარებენ მომწიფებას.

ჩვენში კარგი სუდერის ყურძნის ჯიშები იშვიათია, და რაც მოიპოვება აქა-იქ, ისიც მეტნაწილად საზღვარგარეთელი ჯიშებია.

სასუფრე ჯიშებიდან ან ძალიან საადრიო უნდა აირჩიოთ, ან და საგვიანო, რომ მოსავალი იმ დროს მიიღოთ, როცა სხვა ყურძნი არ იქნება ბაზარზე.

საადრიო სუფრის ჯიშებიდან ჩვენი პირობებისათვის დღესდღეობით გამოცდილი და მისაღებია შემდეგი: მადლენ ანჟევენი, შასლა დორე, შასლა ვარდისფერი და თეთრი, ჩაუში, მალინერი და სხ.

საგვიანოებიდან კი: შასლა ნაპოლეონისა, კატალონიე ბლანდე — კალაბრი, ალიბურლა ნუარდე — მარსეილ, კორნიშონი თეთრი და სხვა.

სუფრის ჯიში კარგ შემოსავალს მხოლოდ მაშინ მოგცემს. თუ ბაზარი გეახლოებათ.

ჩვენს სავენახე კუთხეებში ყველაზე უკეთესად სუფრის ჯიში ქართლში ხეირობს. აქაური ყურძნი მეტ შაქრიანი და გემრიელი გამოდის. იგი ტანსაც მეტს შეიცავს, რის გამოც უკეთ სძლებს ინახება და შორს გადატანასაც უფრო ადვილად იტანს.

იმერეთის ყურძნი-კი უფრო წყლიანია, ტანსაც შედარებით მცირეს შეიცავს, ამისათვის იგი შორს ბაზარზე გადასატანად ნაკლებად ვარგისია.

## ამერიკული ვაზის საძირე ჯიშის ამონჩევა.

ვენახების გაშენების დროს უმთავრესი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ამერიკულ საძირეებს. ამისათვის მათ შერეფასაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

ამერიკული საძირეები ბევრნაირი ჯიშისაა და ეს ჯიშები სხვადასხვა ნიადაგს ერთნაირად როდი ეგუებიან.

ზოგი მათგანი კარგად ხარობს ნესტიანსა და მკერივ თიხნარში, ზოგი-კი—შშრალ ქვა-ღორლიან ქვიშნარში. არიან ისეთებიც, რომლებიც კირნარებსაც კარგად ეგუებიან.

ამ საძირეებს არც ფილოქსერის წინააღმდეგ გამძლეობა აქვთ თანაბარი.

ძალიან ანგარიშ-გასაწევია ის გარემოებაც, რომ ჩვენებური ვაზი ყველა საძირეს ერთნაირად კარგად ვერ ეწყობა.

ამისთვისაა რომ, ხშირად ადგილობრივი ვაზი, რომელიც ერთ საძირეზე დამყნილი დიდ მოსავალს იძლევა, მეორეზე ჩვეულებრივ მოსავალსაც უკლებს.

მრავალ ამერიკულ საძირეთა შორის დღეს-დღეობით ჩვენი პირობებისათვის გამოცდილი და



მისაღებია მხოლოდ ხუთიოდე ჯიში: რუპესტრის  
დიულო, რიპარია X, რუპესტრის 339, რიპარია X,  
რუპესტრის 101—14, რიპარია X, რუპესტრის  
3306, რიპარია X, ბერლანდიერი 420-ა და შასლა-  
ბერლანდიერი 41-ბ.

ამ ჯიშების თვისება კარგად უნდა იცოდეს  
ყოველმა მევენახემ, რომ ვენახის გაშენების დროს  
შეცდომა არ ჩაიღინოს.

1. რუპესტრის დიულო წმინდა ამერიკული  
ჯიშია და ყველაზე უფრო გავრცელებულია ჩვენში.  
იგი ფესვებს უხვად ისხამს და შეეულია უშვებსნიალაგ-  
ში. კარგად ხეირობს შშრალ, მჩატე, მაგარსა და ქვი-  
ან ადგილებში. თავისუფლად უძლებს  $25^{\circ}/_0$ -მდე კირს.

ნოკიერ ნიადაგში მის ნამყენს ხანდახან ყვა-  
ვილი სცვივა.

მაგრამ ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა  
ვაზი გრძლიად გაისხლას და ზეღმეტი ყლორტები  
გვიან გაეფურჩქნოს.

ჩვენებური ვაზის ჯიშები ამ საძირებე კარგად  
იმყნობა და მეტიც ხარობს, ვიდრე სხვა საძირებზე.  
მოსავალს კარგს იძლევა, მხოლოდ ყურძენს გვიან  
ამწიფებს. მასზედ დამყნილი ჩვენი ჯიშები აღრე  
იწყებენ ნაყოფიერებას და აღრეც ბერდებიან.

2. რიპარია X რუპესტრის 3309. ეს ჯიში და-  
კანკლედებით გამოყვანილია კუდერკის მიერ და საუ-  
კეთესო საძირედ ითვლება.



დიულოსავით გიც ღონიერსა და ნიადაგში  
შეიულად მიმავალ ფესვებს იკეთებს.

ჩვენებურ ჯიშებს კარგად ეთვისება. მოსავალს  
დიდსა და მუდმივს იძლევა, ღვინოსაც საუკეთესო  
ხარისისას აყენებს.

ეს ჯიში კარგია საშუალო ღონის თიხნარში,  
ან ქვიშნარზე და აგრეთვე მაგარ ქვიან ადგილებში,  
როგორც ფერდობზე, ისე ვაკეებში.

კირს  $25-30^{\circ}$  იტანს.

საერთოდ იგი უკეთეს შედეგს იძლევა მშრალ  
ნიადაგებში, თუმცა ნესტიან ნიადაგსაც საკმაოდ  
ეგუება.

3309-ზე დამყნილი ჩვენი ჯიშები აღრეც იწყე-  
ბენ მსხმოიერებას და დოდხანსაც ცხოვრობენ.

3. რიპარია X რუპესტრის 101—14 მილორ-  
დე დეკარასეს მიერ გამოყვანილი ჰიბრიდია. კარგი  
საძირეა. მისი მრავალრიცხვანი ფესვები თარიზუ-  
ლად მიიმართებიან ნიადაგში. ეს საძირე მყნობას  
კარგად ითვისებს და მოსავალსაც მშვენიერს იძლე-  
ვა. მისი გაშენება უმჯობესია ღრმა, ნოკიერსა და  
ცოტა ნესტიან ნიადაგებში, სადაც კირის რაოდე-  
ნობა  $20^{\circ}$  არ უნდა აღემატებოდეს.

კარგად ხეირობს აგრეთვე ახალპირ ადგილებ-  
შიაც.

შესაფერ პირობებში გამძლეობა ამ ჯიშს ისე-  
თვე აქვს, როგორც 3309 ჰიბრიდს.

4. რიპარია X რუპესტრის 3306 (კუდერკის მიერ გამოყვანილი), 3309 ჰიბრიდის მაგვარი ჯი-შია, მხოლოდ ამ უკანასკნელთან შედარებით ნესტიან ნიადაგებს უფრო ეგუებიან.

5. რიპარია X ბერლანდიერი 420 ა—მილორ-დე დეკარასეს მიერ გამოყვანილი, — საუკეთესო საძირედ ითვლება ისეთ ნიადაგებისათვის, სადაც კრის შემადგენლობა  $50\%$ -მდე აღწევს.

მისი ნამყენი დიდ მოსავალს იძლევა და საუკეთესო ლვინოს აყენებს. ლერწი და ყურძენი ადრე უმწიფედება.

კარგად ხეირობს როგორც მჩატე, ისე ლრმა ლონიერ კირნარებში, თუ ნიადაგი მშრალია.

6. შასლა — ბერლანდიერი 41-ბ ძალიან კარგია, როგორც ნესტიან, ისე მშრალ კირნარებში. კირს  $60\%$ -მდე თამაშად უძლებს.

მისი ნამყენი მშვენივრად ყვავილობს, მოსავალს დიდს იძლევა და ლვინოსაც ჩინებულს აყენებს.

ნამყენს კარგად ითვისებს, მხოლოდ ფილოქსერას იმდენად ვერ ეწინაიღმდეგება, როგორც ზემოთ-ჩამოთვლილი საძირები.

## ნამყენი ვაზის შენახვა დარჩვამდე.

შემოდგომაზე, დაახლოებით ნოემბრის დამლევს, დასცვივა თუ არა ნამყენ ვაზს ფოთოლი, შეუდგებიან სანერგიდან მის ამოღებას.

და ყველა, ვინც კი აპირებს ახალი ვენახის გაშენებას, ეშურება ამ დროს იყიდოს და აირჩიოს კარგი ნამყენები, რადგან მოთხოვნილება დიდია და თუ არ დააჩქარა, შეიძლება გაზაფხულზე უვაზოდაც დარჩეს.

ადრე შეძენილ ნამყენ ვაზს დარგვამდე ძალიან კარგი შენახვა და მოვლა ესაჭიროება.

ჩვენში ბევრმა მეურნემ კიდევ არ იცის ძიროულ ნამყენი ვაზების დარგვამდე — რიგიანი შენახვა, რის გამოც ხშირად ზარალდებიან.

ამისათვის, რომ ეს ასე არ მოხდეს, ყოველმა შეგნებულმა მეურნემ უნდა იცოდეს, თუ როგორ შეიძლება ნამყენი ვაზის შენახვა.

ნამყენის შენახვა ზამთარში ფარდულში ან გარეთ ცისქვეშაც შეიძლება, მხოლოდ უნდა ეცადოთ, რომ შესანახი ადგილი რამდენადაც შეიძლება დაფარული იყოს ქარ-ყინვისაგან და ზედმეტი სიმშრალის ან სინესტისაგან.

შესანახ ბინად უფელაზე კარგი ადგილი, გრი-  
ლი და ბნელი სარდაფით.

ძიროული ნამყენები შესანახ ბინაში უნდა შე-  
ინახოთ მდინარის წმინდა ხოროშ ქვიშაში, რომე-  
ლიც არც მეტად მშრალი უნდა იყვეს და არც ნეს-  
ტიანი. ორივე შემთხვევაში ნამყენი გაგიფუჭდებათ.  
მშრალი ქვიშა გამოაშრობს მას, ნესტიანი კი დაალ-  
პობს. ქვიშა უნდა იყოს ოდნავ ნესტიანი.

ქვიშაში ჩასაფლავად გამზადილ ნამყენი ვაზის  
კონებს ჯერ წყლით დანამავთ და ცოტაოდენ ქვი-  
შას მოაყრით.

შემდეგ შესანახ ადგილზე დაყრით ძირს ორ  
გოჯზე ხოროშ ქვიშას და ზედ დააწყობთ ნამყენე-  
ბის კონებს წაწვენილად, ისე რომ ნამყენი თავებით  
ცოტა მაღლა იყურებოდეს.

დაწყობის დროს კონა კონას არ უნდა ეხებო-  
დეს და არც ცარიელი ადგილი უნდა დარჩეს თო-  
რემ ვაზები შეხურუება, თეთრი ობი მოეკიდება და  
ერთიანად წახდება.

კონასა და კონას შუა ჩაყრით ქვიშას და მაგ-  
რად ამოავსებთ.

კონების ერთი-მეორეზე დაწყობა ორ წყებად  
შეიძლება. ორ წყებაზე მეტი-კი არ ვარგა.

როცა კონების დაწყობას მოათავებთ, ზევი-  
დან უნდა წააყაროთ ბლომად ქვიშა 6-7 გოჯზე  
მაინც.

ამგვარად შენახული ნამყენი საიმედოა და დიდ-  
ხანსაც ინახება.

დრო გამოშვებით უნდა დაათვალიეროთ შენა-  
ხული ნამყენები. თუ, ვინიცობაა, ობი გაუჩნდა,  
შენახვის პირობები უნდა შეუცვალოთ. ზედმეტი სი-  
ნესტე და სითბო უნდა ააცდინოთ.

---

## ვენახის დაგეგმვა.

დამუშავებული და კარგად შემზადებული სავენახე აღგილი, ვაზის დარგვამდე, რამდენიმე დღით ადრე, კიდევ უნდა მოხნათ და დაბაროთ და შემდეგ ფარცხით ან თოხით მოასწოროთ.

ამის შემდეგ მიწა მზადაა ვაზის გასაშენებლად.

სანამ დარგვას შევუდგებოდეთ, სავენახე აღგილი ჯერ უნდა დაგეგმოთ რიგებად.

რიგებს უნდა მისცეთ ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულება, რომ ვაზმა მზითა და სინათლით უფრო მეტად ისარგებლოს.

იმ შემთხვევაში-კი, თუ აუგილობრივ ძლიერი ქარები იცის, უკეთესია რიგებს ქარის მიმართულება მისცეთ, რომ ვაზმა ვაზი უკეთ დაიფაროს ქარისაგან.

როდესაც დაგეგმვას მოათავებთ, შემდეგ ჯოხებით უნდა დანიშნოთ რიგებში ვაზის ჩასარგვი ადგილები.

ვაზების დარგვა ვენახში უნდა ხდებოდეს წესიერად: სწორი რიგებით,— ოთხკუთხურად ან სამკუთხურად.

უწესრიგოდ ვაზების ჩარგვა ვენახში ნაკლებ ხელსაყრელია.

ამგვარად ჩაყრილი ვაზები თანასწორად ვერ გთვითარებიან, რაღაც ზოგი ვაზი თხლად იქნება დარგული, ზოგი კი უფრო სქლად.

პირველ შემთხვევაში ვაზი უფრო მარტად გაიზრდება, რაღაც უფრო მეტი სითბო — სინათლით და საკვებით ისარგებლებს; მეორე შემთხვევაში-კი პირიქით.

უშესრიგოდ დარგული ვენახის დამუშავება და მოვლა უფრო ძნელია.

ამიტომ ვაზის ასეთნაირად დარგვა დღევანდელ მეურნეობაში ყოვლად მიუღებელია.

ვაზის წესიერად დარგვა-კი გაცილებით უმჯობესია.


განსაზღვრული წესით დარგული ვაზი თანაბრად სარგებლობს სითბო სინათლით, წყლითა და საკვებით; თანასწორად და კარგად იზრდება; მოსავალსაც მეტსა და უკეთესი ხარისხისას იძლევა.

ამასთანავე მისი დამუშავება იოლია და თან იაფიც ჯდება.

სწორ რიგებად დარგვის დროს, რიგებს შორის მანძილი მეტი მოდის, თვით რიგებში ვაზებს შორის-კი უფრო ნაკლები (იხ. სურ. 12).

ამნაირად გაშენებულ ვენახში, როგორც გუთნით დამუშავება, ისე ნაკელის შეტანა, იგრეთვე მავნეებთან ბრძოლა და სხვა ყოველგვარი მოვლა იოლი და მოხერხებულია.

სწორ რიგებად დარგულ ვაზს მხოლოდ ის ნაკლი აქვს, რომ ფესვები ზრდის დროს ხვდებიან რი-




სურ. 12.

გებში მეზობელ ვაზის ფესვებს და მათი ზრდა ფერ-  
 ხდება.

ყველაზე საუკეთესოა ვაზის იმ წესით დარგვა,  
 როცა თქვენ მთელ სავენახე მოედანზე ვაზებს თა-  
 ნასწორ მანძილს აძლევთ.

ამ შემთხვევაში შეიძლება ვაზი დაირგას ორგვა-  
 რი წესით: ოთხკუთხურად ან სამკუთხურად (ჭად-  
 რაკულად) (იხ. სურ. 13 და 14).




სურ. 13.

ოთხკუთხურად დარგვა.

ასეთი წესით დარგვის ღროს ვენახში მეტი ვა-

ზი ეტევა. ვაზები ერთნაირად ვითარდებიან და თანაბრად ღებულობენ სითბოს, სინათლეს, წყალსა და საკვებ მასალის.



სურ. 14.

სამკუთხურად დარგვა (ჭაღრაკულად).

სამკუთხურად ვაზის დარგვა-კი ყოველმხრივ სამჯობინოა, რადგან ამ წესზე დარგული ვაზი მეტი მხითა და მიწით სარგებლობს.

რაც შეეხება ვაზებსა და რიგთა შორის მანძილს, ეს დამოკიდებულია ნიადაგის თვისებებზე და ვაზის ჯიშზე.

ვაკე, ლრმა და ნოტიო აღგილებში ვაზი შორი-შორს უნდა დაირგას.

მშრალსა და ულონო მიწებში კი — უფრო ახლოს.

საერთოდ ნოყიერ და ნოტიო აღგილებში ვაზი ვაზს ორიდან ორ-ნახევარ არშინზე მასნც უნდა დაშოროთ.

საშუალო ღონის აღგილებში ორ არშინზე ახლოს დარგვა სახეირო აღარაა.

მჩატე ფერდობებზე და მჭლე ნიადაგებზე, თუ ვაზის ჯიშიც სუსტია, ერთ-ნახევარ არშინზეც შეიძლება ვაზის დარგვა.

მხოლოდ ამაზე უფრო ხშირად ვაზის დარგვა არ ვარგა, რადგან ხშირ ნარგავში ნიადაგი მაღლე იღლება, იფიტება და თვითონ ვაზიც ძალზე სუსტდება; ყურძენი გვიან მწიფდება და ლერწიც ცუდად შემოდის. სხვადასხვა სოკოს ავადმყოფობა ხშირად ჩარგულ ვაზს ხომ უფრო მაღლე ერევან ხოლმე და იმორჩილებს.

## როგორ უდია დაიგეგმოს სავენახე ადგილი.

როცა სავენახის დაგეგმვას დააპირებთ, ამისათვის ჯერ მოიმზადებთ ხელსაწყოს: ჩვეულებრივ მსხვილ თოკს, ან გრძელ საზომ ჯაჭვს, ორ მომსხო არშინიან პალოს საზომისათვის, პაწია ჩხირებს მონიშნულ ადგილებზე დასასობად და აგრეთვე წალდს, ან ნაჯახს.

საზომ ერთეულს (თოკს, ჯაჭვს) მოელ სიგრძეზე წინდაწინ დაპყოფთ რამდენიმე ნაწილად. თვითეული ნაწილი უნდა უდრიდეს რმ მანძილს, რამდენზედაც გსურთ ვაზები ერთი-მეორეს დააშოროთ მწკრივებში. ყოველი ასეთი ნაწილის ბოლოსთან საზომს მოსანიშნავად შეაბამთ: თოკს, ჩვარს ან მაგთულის რგოლს.

ამგვარად გაკეთებულ თოკს, ან ჯაჭვს ორი მუშა აიღებს და სავენახე ადგილის ცალი მხრიდან მოელ სიგრძეზე გასკიმავს და კარგად დაამაგრებს ბოლოებში პალოებით.

ჩასარგავი წერტილების ადგილობრივ მოსანიშნავად მესამე მუშა დაუკლის საზომს და ყოველ

ნიშანთან (რგოლი, ჩვარი) დაუსობს პატია ჩხირებს. როცა პირველ მწკრივზე გაათავებთ ადგილების მონიშვნას, შემდეგ ამ მწკრივის თავსა და ბოლოდან გადაზომავთ აღებულ მანძილს და გადაიტანთ თოკს მეორე მწკრივში, დასკიმავთ მას სიგრძეზე და ისევ მონიშნავთ ჯოხებით.

და ასე განაგრძობთ მუშაობას ბოლომდე.

ამის შემდეგ დაიწყებთ ნაკვეთის დაყოფას რიგებად, სივანეზე.

დაყოფას აწირმოებთ ადგილის ბოლოდან და ვაზის ჩასარგავ ადგილის მონიშვნას შეასრულებთ იმავე წესით, როგორც ზემოთ არის ნაჩვენები.

ამგვარად დაგეგმვა მისაღებია განსაკუთრებით ფხვიერი ქვიშნარებისათვის, სადაც თოკით მონიშნულ ხაზთან გავლებული კვლები ისევ მაღე წაიშლება და აივსება ხოლმე მიწით.

სხვაგვარ ნიადაგებში ვაზის ჩასარგავი ადგილების მონიშვნა შეიძლება უფრო მარტივადაც.

ამ შემთხვევაში ჯერ დავლებთ თოკით გასწვრივ მწკრივებს; მწკრივებთან თოხის ლინგით გავლებთ პატარა კვლებს.

შემდეგ იმავე თოკით ადგილის ქვემოდან გაავლებთ გარდი-გარდმო მწკრივებს. ამ მწკრივების გამკვეთი წერტილები-კი იქნება ვაზის ჩასარგავი ადგილები.

ამასთანავე ისიც უნდა იქონიოთ მხედველობა-

ში, რომ დაგეგმვის დროს მწურივები სიგრძეზე 50  
საუკუნის არ უნდა აღემატებოდეს, რადგან დიდი გან-  
ძილის მწურივებზე მუშაობა ძალიან ჰქონდა ადა-  
მიანს და აძნელებს ვაზის ჩასარგავ ადგილების სის-  
ტორით მონიშვნას.

---

## 35% დარგვა.

ვაზის დარგვა წინასწარ მომზადებულ და ოლნრ-  
შნულ ადგილებზე შეა პრილიდან უნდა დაიწყოს.

ამ დროს ჰაერი და ნიადაგი საკმაოდ მომთბა-  
რია და ამიტომ ვაზი უფრო იხარებს.

დარგვა შეა მაისამდეც შეიძლება გაგრძელდეს.

ნააღრევად დარგვა სიხირო არ არის.


პირგამოზაფხული ჩვენში ხშირად ცივი და ჭინ-  
ჭულიანია. და ახალ ჩაყრილ ვაზს თუ ყინვამ და სუსხ-  
მა მოუსწრო, უსათუოდ დააზიანებს.

დასარგავად გამოსადევია მხოლოდ სანერგეში  
გამოწროთვნილი, ერთი წლის ნახარი, კარგად გადარ-  
ჩეული და გასინჯული პირველი ხარისხის ნამყენი,  
რომელიც ყოველმხრივაა შეხორცებული, რომელ-  
საც სიმსხო და სიგრძე ზომიერი აქვს, ხოლო ფეს-  
კებიც უხვი და რქა კარგად შემოსული.

საძირე შესაფერისი უნდა იყვეს სავენახე ად-  
გილის პირობებისათვის.

იმავე გაზაფხულზე ახალი დამყნილი ვაზის სა-  
ვენახე ადგილში ჩარევა ხელსაყრელი არაა, რადგან  
ხშირ შემთხვევაში ასეთ ნამყენებიდან ძალიან მცი-  
რეოდენი ნაწილი ხარობს კარგად, ადგილი ტყვილად  
სცდება და ხარჯიც ამაოდ იკარგება.

დარგვა შეიძლება უბრალო პალოთი, პატა-  
რა რკინის საჩეხით ანუ ლომით გაკეთებულ გირ-  
ო ორმოებში (იხ. სურ. 15). მაგრამ, ბარით გა-  
კეთებულ თხრილებში ნამყენების დარგვა ბევრად  
უკეთესია.



სურ. 15.

პალოთი დარგული ნამ-  
ყენი.

დარგვა უმჯობესია ახალ  
ნაველრევს, მყუდრო და მზიან  
ამინდში, როცა ნიადაგი სა-  
კმიოდ შემშრალი და თბი-  
ლია.

ცუდ ამინდში, თუნდ ოდ-  
ნავადაც რომ სწვიმდეს, უნ-  
და ერილოთ ვენახში შესვლის  
დასარგავად. ამ დროს მუ-  
შაობა, არც ნიადაგისთვისაა,  
მოსახლენი და არც ვაზისა-  
თვის.

როცა დარგვას დააპირებთ,  
ჯერ უნდა მოამზადოთ ნა-

კელ-წალი, რომელსაც შემდევნირად შეაზავებთ:  
ვეღროში, თიხის ჭურჭელში, ან გობში ჩაყრით ორ  
წილს საჭონლის (ძროხის) ახალ ნაკელს; მას დაუმა-  
ტებთ ერთ წილ იყალო მიწას დაასხამთ წყალს იმ-  
დენი რაოდენობით, რომ ნარევი სითხე თხელი მა-  
წვნის სისქე შეიქნეს და რამდენიმეჯერ მავრად დაუ-  
რევთ ჯოხით.

დასარგავ ნამყნებს თითო ხილულ კვირტზე გასხლავთ, დაზიანებულ ფესვებს მაკრატლით სუფ-თად შეაცლით, სხვებს კი შემოაკლებთ ორი მესა-მედიდან ერთ მესამედამდე.

ფესვების წვერების წაკრა ძალიან უხდება ახალ დასარგავ ვაზებს; იგი აფხიზლებს მცენარეს და იწ-ვევს მას სამოქმედოდ.

ამასთანავე, დამოკლებული ფესვები უხვად იკე-თებენ პაწია ფესვუნებს და მით კიდევ მეტად ლო-ნიერდება ნორჩი ვაზი.

დარგვის დროს ზოგი ფესვებს სრულიად აჭრის ნამყნებს, მაგრამ ყველა ჯიშებისათვის ეს ერთნაი-რად როდია გამოსადევი და ამიტომ უმჯობესია ფეს-ვები მარტო შეუმოკლოთ.

ამგვარად დამზადებულ ნამყნებს რამდენიმე წუ-თით ძირებით ჩააწყობთ შუამდე შეზავებულ ნაკელის სითხეში,

ამავე დროს რიგებში დანიშნულ ჯოხებთან ბა-რით ამოიღებთ თრმოებს.

ერთი მუშა რომ თრმოს ამოიღებს ჯოხის ცალ მხარეზე, დანარჩენი ორი მუშა-კი, სანამ თრმოები-დან ამოყრილი მიწა გამოშრებოდეს, ნამყენებს ჩარ-გავს თრმოებში სწორად.

თრმო უნდა ამოიჭრას ცოტა უფრო ლრმა, ვიდ-რე ნერგის სიგრძეა, დაახლოებით 8-9 გოჯის სი-ლრმეზე და 5-6 გოჯის სიფართეზე.

სავენახე ადგილის მდებარეობის მიხედვით ნამ-  
ყენები სხვადასხვა სიღრმეზე უნდა დაირგას.

თუ ვენახის მდებარეობა დაქანებულია, მაშინ  
ნამყენი ისე უნდა დაირგას, რომ დამყნილი ადგილი  
ნიადაგის პირას მოვიდეს.

ციცაბო ფერდოებზე დარგულ ვაზებს მყნობი-  
ლი ადგილი ნიადაგის ზედა პირიდან  $1\frac{1}{2}$ - $1\frac{1}{2}$  გო-  
ჯით დაბლა უნდა ხვდებოდეს.

მომავალში მიწა თავისთავად შემოეცლება მას  
და იგი მაინც მალლა დარჩება მიწაზე.

ფერდოების კალთებზე და გაშილ ვაკე ადგი-  
ლებში ნამყენი ადგილი  $1\frac{1}{2}$ - $2$  გოჯით მალლა უნდა  
იქნეს მიწაზე.

ნიადაგი თუ მჭლე და მშრალია, ძალიან მო-  
სახდენი იქნებ, თუ ვაზს დარგვის დროს ორმოებში  
ჩაატანთ ცოტაოდენ ძროხის დამწვარ ნაკელს.


ნაკელი მისცემს ვაზს ნოყიერებას და არ გა-  
მოულევს სინესტეს.

ამოღებულ ორმოს ძირში ნაპირებისაკენ ჩაყ-  
რით მიწანარევ ძველ ნაკელს. შუაგულ ორმოში  
შეახვავებთ ფხვიერსა და რაც შეიძლება ნოყიერ მი-  
წას და მაგრად მოსტკეპინთ. შემდეგ ამოიღებთ ნა-  
კელ-წყალში ამოვლებულ ნამყენს და ამ შეხვავე-  
ბულ და დატკეპნილ გორაკზე დასვამთ ფესვებით.

ფესვებს ხელით გაასწორებთ და ზევიდან ისევ  
ფხვიერს და ნოყიერს მიწას მოაყრით შუა ორმომ-



დე და ისე შესტკეპნით, რომ ფესვებს მკიდებელურა  
მოეკრას მიწა. უმჯობესი იქნება, თუ მოტკეპნილ  
შეა ორმოს ზევითაც დააყრით კიდევ ძველს და გა-  
დამწვარ ნაკელს, მხოლოდ ვაზის ტანიდან ცოტი  
მოშორებით და ფესვების პირდაპირ. შემდეგ ისევ



სურ. 16.


ორმოებში დარგული ნამუენი ვაზი.

მიწა ისე უნდა მიეტკეპნოს ვაზს, რომ მისი აძლო-  
რობა აღარ შეიძლებოდეს (იხ. სურ. 16).

კარგი იქნება, თუ ახლად დარგულ ვაზს მორ-  
წყავთ, მეტადრე თუ გვალვიანში გიხდებათ მუშაობა.

როდესაც დარგვას მოათავებთ, ყოველ ვაზს  
თოხით უნდა შემოაყაროთ ირგვლივ ქვიშნარი,  
ფხვიერი მიწა იმ ვარაუდით, რომ შემოყრილი მიწა  
დადგეს ორი გოჯით ვაზზე ზევით.

შემოყრილი მიწა დაიფარავს ნორჩ მცენარეს  
გვალვისა და ყინვისაგან და ცოცხლად შეინახავს  
მის სათუთ კვირტს.



სურ. 17.

მიწაშემოყრილი ახალი დარგული ნამყენი ვაზები, ზედ  
დასობილი ჯოხებით.

## ახლად დარგული ვაზა პირველ წელს მეტად გულმოდგინე და ფაქიზ ყურის გდებას თხოულობს. პირველ წელში.

ახლად დარგული ვაზა პირველ წელს მეტად გულმოდგინე და ფაქიზ ყურის გდებას თხოულობს.

რაც უნდა კარგი ნამყენით გააშენოთ ვენახი და სავენახე ადგილიც ნოყიერი და წესჩე დამუშავებული იყოს, თუ მას ჯეროვანი ყურადღება არ მიექცა, სასურველ შედეგს ვერ მიიღებთ.

ცუდი მოვლით ბევრი ვენახი გიმტყუნებსთ და ადგილი ტყუილად მოგიცდებათ; — რაც გაიხარებს, ისიც სუსტი და დაჩაგრული დარჩება.

საზრიანი მოვლით ნამყენი, პირიქით, მეტად გაიხარებს, მარდად გაიზრდება, ადრე დასრულდება და სამერმისოდაც სალი და უფრო ამტანი დარჩება.

მოვლის დროს უმთავრესი ყურადღება ვენახის სუფთად დამუშავებას და მასში სარეველ ბალახების მოსპობას უნდა მიექცეს.

ვაზს მეტად უყვარს სისუფთავე, ბევრი ჰაერი და თავისუფლება.

ამიტომ დარგვილან ერთი თვის შემდეგ ახალი ვენახის ნიადაგი აუცილებლად უნდა გაფხვიერდეს თოჭით, ან მათობით.



ასეთი დამუშავება ძალიან უხდება ახალი მოცემული  
ზარდ ვაზს.

განსაკუთრებით დიდი სარგებლობა მოაქვს გაფ-  
ხვიერებას მძიმე შეკრულ თოხნარსა და ხმელ ხრიოკ  
ნიადაგებში. გაფხვიერების გამო ასეთი ნიადაგები  
ნაკლებად შრებიან და ჰაერიც უკეთ უდგება ვაზის  
ნორჩი ფესვებს.

თოხნის დროს რაც შეიძლება ფრთხილად უნ-  
და მოექცეთ ახალ მოზარდ ნამყენებს. ვაზის ტანთან  
ძალიან ახლოს თოხის წევა საშიშია, რადგან ამ შემ-  
თხვევაში შესაძლოა ნორჩი მცენარე შეარყიოთ და  
ჯერ კიდევ მოუმიგრებელი და სუსტი ფესვები დაუ-  
ზიანოთ. ამ ხიფათის თავიდან ასაკილებლად კარგია  
ვაზის ადგილი ბატარა ჯოხებით იყოს მონიშნული.

ხშირად დიდი წვიმების შემდეგ ვაპზე შემოყ-  
რილ მიწას ქერქი ეკვრის ხოლმე. ასეთ შემთხვევაში  
თუ დროზე არ მიეშველეთ ნამყენს, მის თითო  
ყლორტს მიწიდან ამოსვლა გაუჭირდება. ამიტომ  
ხელით ფრთხილად უნდა შევაფშვნათ გარედან გა-  
მაგრებული მიწის პირი ისე, რომ ამოუსვლელი  
ყლორტი არ უააზიანოთ.

ერთბაშად მიწის შემოცლა და ყლორტების გა-  
მოჩენა არ ვარგა, რაღვან მიწაში, ბნელში მყოფი  
ნორჩი ყლორტები და ფოთლები აღვილად დაიწვის  
მზის სხივით.

ვაზის ნორჩი ფოთოლსა და ყლორტებს აღვი-



ლად უჩნდება სხვადასხვა გვარი სოკოებივით შეკადაგებულის  
მყოფობა: ქრაქი, ნაცარი, ანტრაკნოზა და სხვა.

საჭიროა ამ დროს ვაზს მაღ-მაღე ეწამლოს  
ხოლმე შაბიამამ-გოგირდით.

ამოვა თუ არა მიწიდან ვაზის ყლორტები და  
ფოთოლი მაშინვე უნდა ასხუროთ შაბიამანის ხსნა-  
რი და შეაფრქვიოთ გოგირდი. მხოლოდ სითხე უნ-  
და იყოს მცენარისათვის სრულიად უვნებელი, რომ  
ნორჩი ფოთლები და ყლორტები არ დასწვას. ასეთ  
პირობებს აკმაყოფილებს შაბიამნის 1%-ნი ხსნარი.

ნესტიან ამინდებში და ადგილებში უფრო  
ხშირ-ხშირად სჭირდება ვაზს წამლობა, ვიღრე გვალ-  
ვიანსა და მშრალ ადგილებში.

ნესტიან წელიწადში კვირაში ორჯერ მაინც  
უნდა ასხუროთ ახალგაზრდა ნამყენ ვაზს წამლი.

მშრალ წელიწადში-კი, კვირაში ერთი წამლო-  
ბაც სრულიად საკმარისია.

ახალ დარგულ ნამყენ ვაზს არც შემოდგო-  
მაზე უნდა დააკლოთ მოვლა.

ენკენისთვიდან, როცა ყურძენი უკვე საკმაოდ  
შემწიფებულია და ჰაერიც გაგრილებული, ვაზის  
ავადმყოფობა – ქრაქი ისე ადვილად ალარ ვრცელდე-  
ბა, როგორც გაზაფხულზე ისე ზაფხულში.

მაგრამ ხანდახან, იშოვის თუ არა იგი შესაფერ  
პირობებს, ენკენისთვეშიაც უჩნდება ვაზებს და სა-  
გრძნობლადაც აზარალებს მათ.



ამიტომ საჭიროა ენკენისოვეშიაც უსიმთოებული  
ეწამლოს ხოლმე ნორჩი ნამყენებს შაბიამანის ხსნარით.

მხოლოდ ეს ისე მაღ-მაღე აღარ, სკირია მას,  
როგორც ზაფხულში.

ზაფხულში კვირაში თუ ორჯერ წამლობა აუ-  
ცილებელი იყო, ენკენისოვეში ორ კვირაში, ან  
ათ დღეში ერთი წამლობაც სრულიად საკმარისია.

რადგან შემოდგომაზე ვაზი უკვე საკმაოდ მო-  
ლონიერებულია, ფოთოლი და ყლორტები დასრუ-  
ლებული და მომწიფებული აქვს, შაბიამანის ხსნა-  
რიც იმ დროს უფრო მაგარი უნდა იხმაროთ.

ენკენისოვეში ორპროცენტიანი ხსნარით მოს-  
ხურება უფრო სასარგებლოა; მაგარი წამალი წვი-  
მისაგან იოლათ არ ირეცხება, დიდხანს რჩება ვაზის  
ფოთლებზე და კრაქიც უფრო ეწინააღმდეგება.

შემოდგომაზე, ნართვლევს, როცა ყურძენსა და  
ყანებს მოიწევენ, ჩვენში ხშირია იციან ვენახებში  
საქონლის საბალახოდ შეშვება. საქონლის ბალახო-  
ბა დიდად საზარალოა, როგორც ძველ, ისე ახალ-  
დარგულ ვენახში.

ახალ-მოზარდ ნამყენებში საქონლის შეშვება  
მისთვისაა უფრო საზარალო, რომ ჯერ ერთი საქო-  
ნელი მიწას სტკეპნის და იმაგრებს, მეორეც—ვა-  
ზებს ფეხით ამტვრევს და ჰგლეჯს, თანაც ფოთოლს  
სკამს და უდროოდ აშიშვლებს მის პაწაწინა ლერ-  
წებს.



ფოთოლი-კი, რაც უფრო დიდხანს **შერჩება**  
ვაზს მით უმჯობესია მისთვის: ვაზს კვებაც მეტი  
ექნება, ლერწსაც და ტანსაც დაიმსხვილებს და ფე-  
სვებს უფრო განივითარებს. ამიტომაც სასურველია  
ფოთოლი მანამდე დარჩეს ვაზებზე, სანამ თავისით  
არ ჩამოცვივდება.

## ფესვების შემრა ახალ დარგულ ნამუშენ ვინახში.

შე იკლისიდან ახალ-დარგულ ნამუშენ ვაზს აუ-  
ცილებლად უნდა შეეჭრას ნამუშენ ადგილს ზევით  
გამოლებული ფესვები.

წინააღმდეგ შემთხვევაში ვაზის ეს ზედაფესვები  
გაძლიერდებიან, საძირის ფესვები-კი, პირიქით, და-  
სუსტდებიან და შეაჩერებენ ზრდა-განვითარებას (იხ.  
სურ. 18).


დაბოლოს, საკუთარი ფესვების უქონლობით  
საზრდო შემოკლებული საძირე ნაწილი სრულიად  
გახმება და დალპება.

ასეთ შემთხვევაში ვაზი მხოლოდ სანამუშენედან  
გამოსულ ფესვებით ისაზრდოებს. და ისევ დაუმყნელ  
ვაზს დაემსგავსება. მომავალში მას ფილოქსერა ისევ  
დაიმორჩილებს და დააზიანებს, როგორც სხვა დაუმ-  
ყნელ ჩვენებურ ვაზის ჯიშებს.

ფესვების შეჭრა უმჯობესია ღრუბლიან დარ-  
ში, ან დილა-სალამოთი, როცა მზის სხივებს ნაკ-  
ლები ძალა აქვს.

შუადღის პაპანაქება სიცხეში და ქარიანში, რაც  
შეიძლება უნდა ერიდოთ ვენახში ასეთ მუშაობას,

ერთბაშად ყველა დასატესოებელ ვაზებზე მიწის



სურ. 18.

ახალ-დარგული ვაზი, რომელსაც უნდა შეეჭრას სანამ-  
ყენე ვაზზე გამოსული ფეხვები და ამერიკულ ვაზის  
საძირეზე გამოსული ყლორტები: 1—ნამყენის შეხორ-  
ცებული ადგილი, 2—საძირე, 3—სანამყენე ვაზი, 4—სა-  
ძირეზე ამოსული ყლორტები. 5—სანამყენე ვაზზე ამო-  
სული ფეხვები.

შემოცლა და სათუთ ყლორტების გაშიშვლება არ ვარგა.

უმჯობესია სათითაოდ დაუაროთ ცალკ-ცალკე ყოველ ვაზის ძირს და თავზე შემოყრილი მიწა ნელ-ნელა, დიდი სიფრთხილით; ხელით გადუჩიჩ-ნოთ, და შემოაშოროთ.

თუ ვაზს ჩვენებურ ნაწილზე რამდენიმე ყლორტი ექნეს ამოტანილი, ყველა შეარჩინეთ და ნურცერთს მათ ხელს ნუ ახლებთ. ეს ვაზისათვის უფრო მოსახდენი იქნება, რაზეან პირველში ნორჩ ვაზს რაც მეტი მწვანე ნაწილი ექნება, იგი მით უფრო უხვად დაისხამს ფესვებს და ტანსაც უკეთ დაისრულებს.

ამის შემდეგ, თუ დამყნილ ნაწილზე ფესვები შენიშნოთ, ძალიან მკრელი დანით სუფთად დააჭირით და მაშასადამე მიწა ისევ ხელახლად შემოაყარეთ გარშემო ნამყენებს.

ხანდახან საძირე ამერიკულმა ვაზმაც იყის ყლორტების ამოყრა.

თუ დაფესოების ღროს ვაზზე ასეთი ნაყარი შენიშნოთ, ისიც უსათუოდ წმინდათ უნდა ამოსკრათ და მოაცილოთ, რომ ნამყენს ძალა არ დაეკარგოს.

ფესვების და ყლორტების აქრის ღროს უნდა ერიდოთ ვაზის კანის გაკაწვრას და დაზიანებას დანით, ვინაიდან ასეთი ვაზები ხშირად ავალდებიან სხვადასხვა სნეულებით და იჩავრებიან.



აფეისტოს დამლევს გრილ დღეებში პრილევი გაიმეორებოთ ფესვების შექმას. მხოლოდ — ამ დროს მიწა სრულიად უნდა მოაცილოთ ნამყენ ნაწილს და ვაზი მიწამიუყრელი დასტოვოთ. ამით მიწაში მყოფი ვაზის ნამყენი ადგილი და ყლორტების წვედა-ნაწილები თანდათან შეეჩვევიან ჰაერს და უკეთ მომწიფებიან.

ამ დროს კარგია აგრეთვე ყლორტების წვერების ერთ მესამედზე წაჭრა, რის გამო ვაზი ღონიერდება, ლერწამი უმსხვილდება, უმაგრდება და სავსებით უმწიფდება, კვირტებიც მეტად სრულდება და ღონიერდება ლერწზე.

ვიგოს ანუ ხარის მიღვმა პირველ წელს ახალმოწარდ ვაზისათვის საჭირო არ არის. არც გაფურჩქვნაა საჭირო.

ვაზი უნდა იზრდებოდეს მიწაზე განართხვით და სრულიად თავისუფლად.

გვიან შემოდგომაზე, დაახლოებით ნოემბრის გასულ რიცხვებში ახალ-დარგულ ვაზებს, ისევ უნდა შემოყაროთ ფხვიერი და შშრალი მიწა, რომ კარგად დაიფაროს ვაზის ნამყენი ადგილი და ლერწების ძირი-კვირტები.

შემოყრილი მიწა სავსებით დაიფარავს მათ ზამთრის სუსტისა და ყინვებისაგან.

უნდა ერიცოთ ავდარში ვენახში მუშაობას და ნოტიო მიწის ვაზებზე შემოყრას. წვიმიანში შემოყ-

რილი ატალახებული მიწა შემდეგში მაგრდება ხოლ-  
მე, აღარ იფხვნება, ჰაერიც ვერ მოძრაობს თავი-  
სუფლად მის ნაწილებში, რის გამო ის ველარ იფა-  
რავს ვაზებს მოყინვისავან.

ამიტომ, თუ ნიადაგი ნოტიოა, ჯერ ადროვეთ  
მას გამოშრობა, შემდეგ ყოველი ვაზის ირგვლივ  
6-8 გოჯის სიმაღლეზე გადაბარეთ ნიადაგი, თოხით  
გაცენტრეთ კარგად და ისე შემოაყარეთ ირგვლივ  
ვაზებს.

თვალყური უნდა ადევნოთ, რომ შემოყრილი  
მიწა შემდეგში არ გამაგრდეს, ან არ ჩამოირეცხოს.

## ვაზების ჩამატება ახალშენ ნამშენ ვენახში.

რაც უნდა კარგად დამუშაოთ და შეამზადოთ  
სავენახე ადგილი, ნამყენი ვაზიც გადარჩეული და  
პირველი ხარისხისა გააშენოთ, მაინც ყველა ახალი  
დარგული ვაზი არ გაიხარებს, რამდენიმე უსათუ-  
ოდ მოსცდება

ამისათვის რომ ტყვილად ადგილი არ მოვიც-  
დეთ, ის აუცილებლად უნდა შეავსოთ ახალი ვაზე-  
ბით. მეორე წლის აღრე გაზაფხულზე, ახალშენ ვე-  
ნახის ცარიელ ადგილებში, გამხმარ ვაზების მაჭივრად  
სალი ნამყენები უნდა ჩიტვას.

ჩასამატებელი ვაზები იმავე ჯიშის და ხნოვა-  
ნობის უნდა იიღოთ, რომელიც აღრე გქონდათ იქ  
დარგული.

სხვადასხვა ჯიშების ჩამატება ვენახში ყოვლად  
დაუშვებელია, რადგან ამას შეუძლია ცუდად იმო-  
ქმედოს. მომავალ ღვინის ხასიათზე და თვისებაზე.

განსაკუთრებით ცუდ შედევს იძლევა, როდე-  
საც ვენახში აქა-იქ უმატებთ ისეთ ჯიშებს, რომე-  
ლნიც სხვადასხვა დროს შემოდის და მწიფდება.

დაკრეფის დროს ასეთი ყურძენი მოიკრიფება  
ან მკვახე და ან გადაშიფრებული. ყველა ჯიშების

ცალ-ცალკე შეკრეფა-კი, ძალზე იფერხებს მუშაობას და მეტად მოუხერხებელი ხდება.

ხშირად ხდება, რომ ვაზების ჩამატება ესაჭიროება არა მარტო ახალშენ ვენახს, არამედ ძველ ვენახებსაც.

რომ დაუკვირდეთ, თითქმის ყოველ წელიწადს შეამჩნევთ, რომ ძველ ვენახს თანდათან აკლდება სხვადასხვა მიზეზით ვაზის ძირები.

ძველ ვენახში ვაზის ჩამატება მეტი სიცროთხილით უნდა. ხშირად ასეთ ვენახებში ჩამატებული ვაზები ვერ ხარობენ, რაც უმთავრესად იმით აიხსნება, რომ მეზობელ მთავარ ვაზებს ბლომად აქვთ გარ-ვემო გაშვებული ფესვები, რომელნიც ავიწრობენ ნორჩს, გვიან ჩარგულ ვაზებს და ღუპავენ მას.

ახალდარგულ ვაზს რომ გაუადვილოთ განვითარება, ჩასარგავ აღგილოს ნიადაგი აუცილებლად გულდასმით უნდა გააფხვიეროთ.

ამისათვის შემოდგომაზე, ან ზამთრის პირში უნდა ამოილოთ 72 სანტიმეტრის ანუ ერთი არშინის სიგანისა და სილრმის ორმოები და დასტოვოთ იგი ლიად გაზაფხულამდე.

გაზაფხულზე, დარგვის წინ, ორმოების ძირში ჯერ უნდა ჩაყაროთ ნაკელნარევი მიწა, ან ნეშომ-პალი, და შემდეგ-კი ჩარგათ მასში კარგად განვითარებული და მძლავრი ნამყენები.

ვენახის შევსება შესაძლოა აგრეთვე სხვა წესი-


თაც. ცარიელ ადგილზე შეგიძლიათ დარგათ ჯერ მწარე, ამერიკული ლერწი; როდესაც ის კარგად გაიხარებს და მოლონიერდება, დაახლოებით მეორე წლის გაზაფხულზე—შეუდგებით მასზე ორკვირტი-ანი ჩვენებურ ვაზის ლერწის მყნობას—ნახლეჩი.

ასეთ ნამყენსაც ისეთივე მოვლა უნდა, როგორც ახალდარგულ ნამყენ ვაზს. ასეთი ნამყენი თუმცა პირველში ნელა იზრდება, მაგრამ მომავალში არამცა-თუ არ ჩამორჩება სხვა ნამყენ ვაზებს, არამედ უძ-ჯობესიცაა, რაღან ადრეც იშევებს ნაყოფიერებას და ამავე დროს უფრო შძლავრიდა ყოველგვარი პი-რობების ამტანიცაა.

ამასთანავე თუ შენიშნოთ რომელიმე ჯიში ვე-ნახისა ბერწობს და ნაყოფს არ იძლევა, ან მეწლეობს, ისიც ამავე წესით შეგიძლიათ გადამყნათ ნახლეჩი.


## ახალგაზრდა ვაზის მოვლა მეორე წლის განხავლობაში.

მეორე წლის გამოზაფხულზე, სანამ მცენარეში  
წვენი ამოძრავდებოდეს და ვაზი აცრემლდებოდეს,  
მოზარდი ვაზი ერთ ან ორ ხილულ კვირტზე უნდა  
ამოსხლათ (იხ. სურ. 19, 20,  
21).



სურ. 19.


ერთი წლის ნამცენი ვაზი.



სურ. 20.

მეორე გაზაფხულზე  
გასხმული ვაზი.

საერთოდ უკეთესია ერთ კვირტზე მოკლედ  
სხვლა, რომ ვაზმა ღონიერი ლერწი აღზარდოს.



სურ. 21.

მეორე ზაფხულში (ე. ი. ორ ჩატნახევარ ანუ 100  
ნამყენი ვაზი, რომე- გირვანქა წყალზე 2-3 გირვანქა  
ლიც ერთ ლერწზეა შაბიამანს) და რამდენიმე დღით  
გაშვებული.

ჩატყობოთ მასში კანგაცლილ,  
ახალ დამზადებულ სარებს წითლილი თავებით,  
ამგვარად დამზადებულ სარებს ასჯერ მეტი  
გამძლეობა ეძლევათ.

ამ წლიდან უკვე საჭიროა სა-  
რის მიღება ვაზისათვის, რად-  
გან ყლორტები ხშირად საენი  
სიმაღლის იზრდება.

სასაროდ ვამოსადეგია  $1 - 1\frac{1}{2}$   
დუიმის სიმსხოს სამი წლის სა-  
ენიანი ხეები: წაბლი, კოპიტი  
(იფნი) რცხილა, თეთრი აკა-  
ცია, ბჟოლა, კომში (ბია),  
ტირიფი და სხვა.

მხოლოდ სარები უნდა იყვეს  
რაც შეიძლება საღი და სწორი.  
კარგი იქნება თუ სარებს გა-  
ძლებისათვის წინასწარ გაედენ-  
თავთ წამლით.

ამისათვის აიღებთ ორ ან სამ-  
პროცენტიან შაბიამანის ხსნილს

გაშვებულში (ე. ი. ორ ჩატნახევარ ანუ 100  
ნამყენი ვაზი, რომე- გირვანქა წყალზე 2-3 გირვანქა  
ლიც ერთ ლერწზეა შაბიამანს) და რამდენიმე დღით  
გაშვებული.

ჩატყობოთ მასში კანგაცლილ,

ახალ დამზადებულ სარებს წითლილი თავებით,

ამგვარად დამზადებულ სარებს ასჯერ მეტი  
გამძლეობა ეძლევათ.

საჩები ვაზიდან ორი ან სამი გოჯის მოშორებით უნდა მიესოს ჩრდილოეთით ან ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მხრით, რომ ვაზები არ დაიჩრდილოს მზის სხივებისგან.

მეორე წელს მოკლედ ვასხლული ვაზი რამდენიმე ყლორტს ამოიყრის, რომელიც აუცილებლად უნდა გაფურჩქნოთ და გამოათხელოთ.

ამისათვის ამოარჩევთ და გაუშვებთ საწინაოდ ერთს ყველაზე უფრო სწორსა და ლონიერ ლერწს, დანარჩენებს-კი შეაჭრით და მოაცილებთ.

როცა ყლორტი წამოიზრდება, მაშინვე უნდა მიაკრათ მასთან ახლოს მისობილ სარჩე. სახვევად კარგია: რაფია, წაბლის, თელის და ცაცხვის კანი, აგრეთვე საფალათე ტირიფის წვრილი წნელებიც.

სარჩე იკრული ყლორტი უფრო სწორად აიზრდება და დასრულდება. მას ველარც ქარი დაამტკრევს ადვილად.

ამ ჩნიდან ვაზს მთელი ზაფხულის განმავლობაში აღარ ესაჭიროება გაფურჩქნა. ნამხრევები რაც გამოიტანოს, ყველა უნდა შეარჩინოთ, ვინაიდან შემჩნეულია, რომ რაც უფრო მეტი ფოთოლი ექნება ამ დროს ვაზს, მით უკეთ გამოიკვებება და დასრულდება.

თოხნა, წამლობა. და ახვევა უმთავრესი სამუშაოა ამ წელს ვენახში.

რაც უფრო კარგად იქნება დამუშავებული და

სუფთად შენახული ვენახი, მით უფრო მარტად გაი-  
ზრდება და მოღონიერდება ვაზი.

არამც-თუ სარეველების — სამეურნეო მცენარეე-  
ბის გაშვებაც-კი მიუღებელია ამ დროს ვენახში...

ახალგაზრდა ვაზს მეორე წელსაც ხშირად ესა-  
კიროება შაბიამან-გოგირდით წამლობა.

როგორც შაბიამანით, ისე გოგირდით ყოველ  
ორ კვირაში ერთხელ მაინც უნდა უწამლოთ.

ასე რომ მთელი ზაფხულის განმავლობაში შვიდ-  
ჯერ წამლობა ვაზისთვის თითქმის აუკილებელია.

იმერეთში, სადაც ზაფხულზე ხშირი წვიმები  
იცის, ვაზს უფრო მეტი სჭირდება წამლობა.

ქირთლისა და კახეთის შშრალ პირობებში-კი  
შედარებით ნაკლები.

## ვაზის მოვლა მესამე ჭელაში.

მესამე წელიწადს ვაზმა უნდა აღი-  
ზარდოს ძლიერი, სწორი ტანი.

ამ წლის ადრე გაზაფხულზე მოზარ-  
დი ვაზი ისევ ორ  
კვირტზე უნდა ამოი-  
სხლის (იხ. სურ. 22,  
23 და 24).

გასხლული ვაზი  
ბლომად ამოიყრის  
ყლორტებს რომლებ-  
შიაც ამოარჩევთ და  
შეარჩენთ ორს ყვე-  
ლაზე უფრო ძლიერ-  
სა და სწორ ყლორტს,  
დანარჩენ სუსტებს-კი  
პირველ განვითარე-  
ბისთანავე შეაცლით  
სუფთად.

სურ. 22.

ხაზით ნაჩვენე-  
ბია, სადაც უნდა  
გადაიჭრას ლერ-  
წი გასხვლის  
დროს მესამე  
ზაფხულზე.

თოხნა, წამლო-

ბა და ახვევა ამ  
წლიდან ისეთივე  
წესით უნდა სწორ-  
მოებდეს, როგორც სხლული ნამყენი  
ძველ ვენახებში.

სურ. 23.

მესამე წლის გა-  
მოებდეს, როგორც სხლული ნამყენი  
ძველ ვენახებში.

ვაზი.

ზოგი ვაზი პირველ წელსვე იძლევა ნაყოფს,  
მეორე—მესამე წელიწადს-კი თითქმის ყველა ვაზი  
ნაყოფიერობს და გამოაქვს ორი-სამი მტევანი.

მაგრამ პირველ ორ წელს ვაზებს ნაყოფი სრუ-  
ლიად არ უნდა შეიტანოთ,  
ვინაიდან აღრე ნაყოფიერობა,  
როგორც ყოველ ნორჩ დაუ-  
სრულებელ მცენარეს, ისე ვაზ-  
საც ძალზე ლახავს და ასუსტებს.

მესამე წელიწადს ვაზმა თუ  
ნაყოფი ბლომად გამოიტანოს,  
პირველ გაფურჩქნაზე შეიცა-  
ლეთ და მხოლოდ ორი ან სა-  
მი მტევანი დაუტანეთ.

ამგვარად მოვლილი მოზარ-  
დი ვაზი კარგად მოლონიერდე-  
ბა და მომავალში უფრო დიდ-  
ხანს იცოცხლებს და ინაყოფი-  
ერებს, თანაც ყოველგვარ ცუდ  
პირობებს უფრო იოლად გაუ-  
მაგრდება.

აღრე ნაყოფიერობით დასუ-  
სტებული ვაზი-კი, პირიქით,  
ნამდვილად საზარალოა. იგი წა-  
აგავს აღრე ვაზედნილ, წელში  
გაწყვეტილ საულლე ხარს.



სურ. 24.

მესამე ზაფხულში  
ნაშუენი ვაზი.

ის ვერც ინაყოფიერებს ხეირიანად და რამაც  
 მოისხამს, მასაც ვერ დაასრულებს და დაამწიფებს  
 სავსებით; — მისი ორსებობაც გაცილებით ხანმოკლე  
 იქნება.

ძალიან მოსახლენი იქნება, თუ ივლისის ღამ-  
 ლევს, ან აგვისტოში ვაზის ლერწებს ორ არშინ-ზე-  
 ვით გადასჭრით. ამით შეჩერდება ვაზის სიმაღლეზე  
 ზრდა, სამაგიეროდ ქვემო-კვირტები და დარჩენილი  
 ლერწის ნაწილი უფრო მწიფდება და მშვენივრად  
 სუკლება.

---


## მეოთხე ტლის მოვლა (გაზის ტანის გამოყვანა).

მეოთხე გაზაფხულზე ახალ-  
შენი ვაზი იმდენად მოლონიე-  
რებული და დასრულებულია,  
რომ თამამად შეიძლება მისი  
ტანის გამოყვანა. (სურ. 25,  
26, 27).

ჰავის და აღ-  
ვილმდებარე-  
ობის მიხედ-  
ვით სხვადა-  
სხვა ზომის  
ტანი უნდა  
მისცეთ ვა-  
ზებს.

### I. თბილი


ჰავის, მშრალ  
არა - ღრმა  
ქვა-ლორილი-  
ან მჩატე  
ადგილებში,



სურ. 26.

მეოთხე გაზაფ-  
ხულზე გასხლუ-  
ლი ნამყენი.

როგორც ფერდოებზე, ისე კი.  
კაბო ფერდოებზე, უმჯობესია  
რაც შეიძლება დაბალი ტანის  
გამოყვანა ვაზისათვის.



სურ. 25.

მეოთხე ნამყენი  
გაზაფხულზე.

უფრო ნიაღაგებში ვაზი ისე თავისუფლად ვერ  
განივითარებს ფესვებს, რომ საკმაოდ ვამოკვებოს  
უფრო მაღალი ტანის ვაზი.



სურ. 27.

მეოთხე ზაფხულში  
ნაყოფიანი ნამყენი  
ვაზი.

დაბალ ტანიანი ვაზები აქ  
უფრო მისაღებია, რომ, ჩვეუ-  
ლებრივ, ასეთ ადგილებში არც  
დიდი სიცივეები იცის და არც  
ზედმეტი სინესტე.

ამგვარ პირობებში 4, ან  
6 გოჯის მიცემა საკმაო იქ-  
ნება ვაზის ტანისათვის.

II. გაშლილსა და ნესტიან,  
დაბლობ ადგილებში, სადაც  
ნიაღაგი ლრმა და ნოყიერია,  
ვაზი აუცილებლად უფრო მაღ-  
ლა უნდა დააყენოთ.

ასეთ ნიაღაგებში მაღალი  
ვაზიც თავისუფლად შესძლებს  
ისაზრდოოს საკვები ნივთიერე-  
ბით. მას არც ნაყოფი დაულ-  
პება ზედმეტი სინესტით, რად-  
გან საკმაო მანძილით იქნება და-  
ცილებული ნიაღაგის ზედაპირს.

ასეთ ადგილებში, ვაზს

10—16 გოჯის სიმაღლის ტანი უნდა მისცეთ.

უფრო მაღალი ტანის ვამოკვანა-ჭი ვაზისათვის

საჭირო აღირაა, რადგან მაღალ-ტანიანი ვაზები, ანუ ე.წ. მილლარები, საერთოდ დიდ მოედნებს თხოულობენ შედარებით, უფრო ცოტასა და ნაკლები ხარისხის მოსავალს იძლევიან და ამასთანავე მოსავალიადაც უფრო მიუდგომელი არიან.

ყველივე ამ მოსაზრებით მაღლარად ვაზის გაშვება ჩვენს თანამედროვე მეურნეობაში ნაკლებად ხელსაყრელია.

ჩვენებური ვაზის ჯიშებში მხოლოდ ერთია ისეთი, რომელიც მაღლარად გაშვებული უკეთეს შედეგს იძლევა, ვიდრე დაბლარიდ. ისეთია — იმერული შავი ყურძნის ჯიში „ოცხანური საფერე“, რომელიც კარგი ხარისხის და ფერის ლვინოს იყენებს.

სურ. 28.

ელიხნარი გაუხსლავი ვაზი.

ამ ჯიშს ქვემო-იმერეთში ჩვეულებრივ ორ ან ორ-ნახევარ არშინის სიმაღლის ტანს აძლევენ და უშვებენ ან მაღალ დატოტვილ სარებზე (ხარდანი)



ოლიხნარად, ან მაღალ ხეებზე—მაღლარად (იხილე  
სურ. 28, 29).



სურ. 29.

მაღლარი. გრძლად გახსლული და ზის ფორებზე დაკა-  
ვებული.



ამ წესით გამოყვანილი „ოცხანური“ მოსავალ-საც კარგს იძლევა და აღარც ავადდება ადვილად.

ამრიგად, როცა ამა თუ იმ სავენახე პირობებისათვის ვაზის ტანი გამოგყავთ მისაღებ სიმაღლეზე, მას სუფთად უნდა შეაცალოთ კვირტები — დანით ან ხელით.

ვინაიდან კვირტის ხელით შეცლა ვაზს ჭრილობას არ აყენებს, უმჯობესი იქნება, თუ კვირტს დააცლით გაღვივება-დამსხვილებას და შემდეგ ხელით შეაფშვნით ტანზე.

საკმარისია ორჯერ გაიმეოროთ ასეთი შეცლა კვირტებისა, რომ მომავალში მათ ყლორტი აღარ მოგვკენ.

გადაზომილ სიმაღლის ზევით ვაზის ტანზე უნდა დასტოვოთ სამამულედ მხოლოდ ორი-სამი კარგად განვითარებული კვირტი.

ეს კვირტები მომავალში აღზრდიან ორს ან სამ ლერწს, რომელსაც კარგად აახვევთ სარზე და ისე მოუვლით, როგორც ძველ ვაზს.

ამ წელს ვაზი მოსავალს მოუმატებს და ექვნიდან — რვამდე კარგ მტევანს მოისხამს.

## მეხუთე წლის მოვლა (ვაზის ფორმის გამოყენა).

მეხუთე წლიდან ვაზი უკვე სანაყოფედ უნდა გაისხლოს.

ადგილობრივი პირობების მიხედვით ვაზს ორგვარი ფორმა შეიძლება ჰქონდეს: ჯამური და საკაფებელი ანუ გასაბამი.

ჯამურად გასხვლის დროს, მეხუთე გაზაფხულზე ორ სანაყოფე ლერწს თანაბრად დანეკავთ 2 ან 3 კვირტზე (იხილე სურ. 30, 31 და 32).




სურ. 31.

იგივე.

თუ ნეკზე ჯაგასაბამის დასატოვებლი და ერთი ქვედა-


ლერწს 2-3 კვირტზე დანეკავთ, ხოლო მეორეს — ზედას საკაფებლად ანუ მოსახვევად 6-8



სურ. 30.

მეხუთე წლისათვის ჯამურად გასახლავო ვაზი.

კვირტზე გაუშევებო ნაყოფისათვის. (n. სურ. 33,  
34, 35, 36 და 37).



სურ. 32.

სურ. 33.

სურ. 34.

იგივე, მეტუთე  
ზაფხულში—  
მსხმოიარე.

მეტუთე წლისათვის იგივე, საკავებ-  
საკავებლად გასა-  
ლად გასხლუ-  
სხლავი ვაჲი.

## მოვლა მეტვეს და უეძებ წლებში.

ჯამურად გასხვლის დროს მეექვსე წელს  
 ვაზს ერთ ან ორ ნეკს მიუმატებთ.

თუ ერთ ნეკს უმატებთ, მაშინ ლონიერ რქაზე  
 (ორწლიანი როკი) ორ ლერწს დანეკავთ 2-3 კვირ-  
 ტზე; სუსტზე კი – მხოლოდ ერთ ნეკს გაუშვებთ  
 კვირტების იმავე რაოდენობით.

იმ შემთხვევაში, როცა ვაზზე ყველა ლერწები  
 კარგად არიან განვითარებული, შეიძლება ორივე  
 რქის ლერწები თანასწორად დანეკავთ და ამგვარად  
 ვაზს 4 ნეკი მისცეთ.

შემდეგ წლებშიაც ასევე განაგრძობთ ნეკების  
 მიმატებას, მხოლოდ უნდა გახსოვდესთ, რომ ხუთ  
 ნეკზე მეტის მიცემა, რაც უნდა ძლიერი იყოს ვაზი,  
 საზარალო იქნება მისთვის.

აქვე აღსანიშნავია, როგორც აუცილებელი პი-  
 რობაა ჯამურად გასხვლის დროს, რომ ნეკები ვაზზე  
 უსათუოდ თანასწორად (სიმეტრიულად) უნდა იყვნენ  
 განწყობილი.

ამგვარად ჩვენი პირობებისათვის სრულიად მი-  
 საღები და მიზანშეწონილი იქნება 3-5 ნეკის და-  
 ტოვება ვაზზე.



მეექვსე წლის გაზაფხულზე, გრძლად განხლის დროს წინა წლებთან შედარებით, გაადიდებთ სანაყოფე კვირტების რიცხვს, რისთვისაც საკავებელს 10 კვირტიმდე დაუტოვებთ, თუ ვაზი ღონიერია.

საკავებელი ზოგჯერ 12 კვირტზედაც შეიძლიათ გასხლათ ამ წელს, თუ კი ვაზის ძალა ამას გიკარნახებთ.

მხოლოდ შემდეგ წლებში, რაც უნდა ღონიერი იყენეს ვაზი და საუკეთესო პირობებშიაც იზრდებოდეს, ორი ნეკის და ორი (12 კვირტიანი) საკავებლის მეტს მაინც ნუ მისცემთ, რომ დიდი ნაყოფიერი ვაზი აჩ დაასუსტოთ.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ პირველში, სანამ ვაზი ახალგაზრდა და ნაზია, უმჯობესია რაც შეიძლება მოკლედ გაისხლას და ცოტა კვირტები დაურჩეს ხოლმე სანაყოფე ლერწზე. ამით ვაზი თანდათან მოღონიერდება მერმისისათვის.

წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ზედმეტი ნაყოფიერებით ერთხელვე დასუსტდა ვაზი, მერმე ბევრი დრო, ჯაფა და ხარჯი დაგჭირდებათ მის გამოსაბრუნებლად და შესაფერ დონეზე დასაყენებლაუ.

ჩვენში ჯამურად სხლავენ ვაზს მხოლოდ ზემო იმერეთში — ჭიათურა-საჩხერისა და ხარაგოულის რაიონებში, სადაც ვენახი მშრალ, მკლე ფერდობებზეა გაშენებული და გრძლად გასხლული ვაზი ნაყოფს გვიანამდის ვერ დაამწიფებდა.

დანარჩენ საფენახე ადგილებში, როგორც  
იმერეთში, ისე ქართლსა და კახეთში უმეტეს შემ-  
თხვევაში ვაზი გასაბამად ისხვლება.

თუ პირობები ხელს უწყობს, გასაბამად ვაზის  
გასხვლა სჯობს ჯამურს, რაღვან ამნაირად გასხლუ-  
ლი ვაზი მეტ მოსავალს იძლევა.

რაც შეეხება ვაზის გასხვლის დროს, უმჯო-  
ბესია პირველ შვიდ-რვა წლამდე ახალშენი ვაზი—  
გაზაფხულზე—წვენის მოძრაობის დაწყებამდე ვა-  
ისხლას.

წვენის დაძრის შემდეგ-კი, გასხვლა ისეთ შემ-  
თხვევებშია მისაღები, როცა ვაზი ლალად იზრდება  
და საჭირო ხდება მისი დასუსტება ნაყოფიერების  
მომატების მიზნით, ან რთვილია მოსალოზნელი.

შემდეგ წლებში ვაზი შემოდგომაზედაც შეიძ-  
ლება გაისხლას. შემოდგომის გასხვლას უპირატესო-  
ბას მისცემთ მაშინ, როცა ხანში შესულსა და და-  
სუსტებულ ვაზთან გაქვთ საქმე.

## ვენახის გაპოხეირება.

წესიერად დარგული და მოვლილი ვაზი ჩვეულებრივ მეოთხე წელს იძლევა მოსავალს. რადგან ვაზი ნაყოფიერობით, როგორც სხვა ყოველგვარი მცენარეები, ძალიან ღლის და ფიტავს ნიადაგს, ამიტომ ამ ხნიდან ვენახის ნიადაგს აუცილებლად ესაკიროება უროვამოშვებით სასუქის მიცემა, გაპოხიერება.

ნიადაგის ნოყიერებაზეა დამოკიდებული მოსავალი. თუ ნიადაგი მდიდარია საკვები ნივთიერებით, ვაზი რიგიანად საზრდოობს და მოსავალსაც კარგს იძლევა ნიადაგი ერთგვარი საწყობია სხვადასხვა საკვებ ნივთიერებისა. ამ ნივთიერებათაგან ვაზი საზრდოობს უმთავრესად: აზოტით, ფოსფორით და კალიუმით.

ვაზი საკვებ ნივთიერებას მომეტებულად ზრდის ხანაში ხარჯავს. აზოტი ფოსფორთან ერთად ხელს უწყობს ვაზის ზრდას. იგი უვითარებს ვაზის ფოტოებსა და ყლორტს.

კალიუმი-კი აღიდებს ვაზის ნაყოფიერებას; შაქრის რაოდენობა მტევნის მარცვლებში უმთავრესად კალიუმზეა დამოკიდებული.



ვენახის გაპოხიერებისათვის კარგია: საქონლი  
სა და ფრინველების ნაკელი; აგრეთვე ხის ნაცა-  
რი, ჭაჭა, თხლე, კირი, ნაგავი, ტყის ნოშოს სა-  
სუქი, ტბისა და ჭაობის მიწა, ცხოველების ხის-  
ხლი და ხავსი.

აღნიშნულ სასუქებში მხოლოდ ნაკელი ითვლე-  
ბა სრულ სასუქად, რადგინ იგი შეიცავს ყველა იმ  
ელემენტს, რომელიც აუცილებელია მცენარის სა-  
კვებად.

სხვადასხვა ნიადაგში ნაკელი სხვადასხვა დროს  
უნდა შეიტანოთ.

**მშრალ,** ფხვიერ და ქვიან ადგილებში შე-  
მოდგომაზე სჯობია სასუქის შეტანა, ვინაიდან მთე-  
ლი ზამთრის განმავლობაში ნალექების გამო ნიადა-  
გი გაიქცენთება ნაკელის წვენით და გაზაფხულზე  
ვაზის ფესვებს საშუალება ექნებათ ამ სასუქის სინო-  
ყიერის დროზე გამოყენების.

ციფსა და ნესტიან, თიხნარ, მძიმე ადგილებ-  
ში, სადაც ბევრი წვიმა იცის, უკეთესი იქნება თუ  
საქონლის სასუქს გაზაფხულზე გაიტანოთ და არა შე-  
მოდგომაზე და ზამთარში, წინააღმდეგ შემთხვევაში,  
ზამთრის თოვლი და წვიმა გარეცხავს სასუქს და მის  
საკვებ ნივთიერებას ჩაიტანს ქვენიადავში იმ სილრმე-  
დე, სადაც ფესვები გამოსაკვებად ვეღარ ჩასწვდებიან  
მას და, სასუქი ამრიგად უსარგებლოდ დაიკარგება.

რაც უფრო გადამწვარი და დამპალია ნაკელი,



მით უფრო მალე და კარგად იმოქმედებს იგი. მხოლოდ მძიმე თიხნარი ნიადაგისათვის უკეთესია ახალი ნაკელი, რომელიც გარდა იმისა რომ ნიადაგს შემატებს საკვებ ნივთიერებას, იმავე დროს სცვლის მის ბუნებრივ აგებულებასაც: შლის, აფხვიერებს და მარებს მას სიობოს.

თუ ნაკელი საკმაოა და ვაზებიც შორი-შორს არ არის ერთმანეთზე დაცულებული ვენახში, იმ შემთხვევაში ნაკელი ერთიანად უნდა მოაყაროთ ვენახში მოელი მოედნის ზედა პირზე და რაც შეიძლება თანასწორად გაანაწილოთ. შემდეგ-კი დაუყოვნებლივ უნდა ღრმად ჩაბაროთ, ან ჩახნათ. ამგვარად ვაზები უფრო კარგად გამოიყენებენ ნიადაგიდან სასუქს; თორემ დიდხანს ჰაერზე დარჩენილი ნაკელი ბევრს სინოკივრეს ჰყარგავს.

მაგრამ იმ შემოხვევაში, თუ ნაკელი საკმაო არა ვაქვთ ოჯახში დაგროვილი და ვაზებიც შორი-შორსაა ერთმანეთზე დაშორებული, უკეთესია ყოველი ვაზის ძირი ცალ-ცალკე გაპოხიერდეს.

ამისათვის თვითეულ ვაზს გარშემო, ტანიდან ერთი ჩარექის მოშორებით, პატარა თრმო უნდა ვაუკეთოთ და შემდეგ ორი, ან სამი ნიჩაბი (ე. ი. ოთხი-ხუთი გირვანქა) ნაკელი ჩაყაროთ შიგ, ზევიდან ისევ მიწა უნდა მოაყაროთ და სრულიად დაფაროთ.

ეცადეთ, რომ სასუქი ძლიერ ღრმად არ მოვიდეს ამ დროს მიწაში, თორემ დიდხანს ილარ დაიშლება.



მძიმე და შეკოწიწებულ თიხნარში უმჯობესია  
ნაკელი ერთბაშად შეიტანოთ, რაღაც ასეთ ნია-  
დაგში ის დიდხანს სძლებს.

ასეთ ნიადაგში საკმაოდ შეტანილი სასუქი სამ-  
წელიწადს მაინც თამამად სძლებს და მოქმედობს.

მშრალი, მსუბუქი და ჭვიშიანი ნიადაგი, ყო-  
ველ წელიწადს თუ არა, ორ წელიწადში ერთხელ  
მაინც უნდა გააპოხიეროთ, რაღაც. ასეთი ნიადაგი  
დიდხანს ვერ ინახავს შეტანილ სასუქს.

ახალი ჭავის პირდაპირ გატანა და დაყრა ვე-  
ნახში, როგორც ეს ბევრმა მეურნემ იცის, არ ვარგა.

ის ჯერ უნდა კარგად დალაპეს, გაიხრწნას და  
შემდეგ გატანილი უფრო სასარგებლოა. ჭავის და-  
სალპობად საჭიროა, რომ მას ცოტა კირი მიუმა-  
ტოთ, აურიოთ და სველად იქონიოთ.

როცა სასუქად ნაცარს ხმარობთ, შეიძლება  
იგი ან პირდაპირ გაიტანოთ, ან სხვა რომელიმე სა-  
სუქში აურიოთ და ისე მისცეთ ვენახს.

ნაცარი, როგორც სასუქი, დიდად მარგებელია  
ვაზისათვის, რაღაც იგი საკმაოდ შეიცავს კალიუმს,  
რომელიც ხელს უწყობს ვაზის ნაყოფიერებას.

კირი, ქუჩისა და ეზოს ნაგაფი, ნოშო, ტბი-  
სა და ჭაობების მიწა, ცხოველების სისხლი და ხავ-  
სი უკეთესი დანება ერთად შეაჭურიოთ, დროვამო-  
შვებით ასველოთ წყლით და დაურიოთ ხოლმე.

**ტურქული ამრიგად დამზადებული, შერეული სასუ-**

ქი კარგად დაღვება — დაიშლება, უნდა შეიტანოთ  
იგი ვენახში და მაშინვე ჩაბაროთ.

ძალიან კარგია იგრეთვე სხვადასხვა ქიმიური  
სასუქიც, რომელიც ამ უკანასკნელ ხანებში თანდა-  
თან ვრცელდება ჩვენი სოფლის მეურნეობაში და  
შვენიერ შედეგებსაც იძლევა.

ამრიგად, თუ საზრიანად მოიქცევით, კარგად  
დაუკვირდებით და გაეცნობით ოქვენს ბუნებას, —  
შესაფერისად ამოარჩევთ იქ სავენახე ადგილს, თავ-  
თავის დროზე დაამუშავებთ და შეამზადებთ მას, ნამ-  
ყენ ვაზსაც პირველი ხარისხისას შეურჩევთ და მო-  
მავალშიაც არ დააკლებთ მას წესიერ მოვლას, და-  
მუშავებით, წამლობით, გაპოხიერებით, ნამყენი ვა-  
ზით გაშენებული ვენახი დიდის სარგებლით ავინა-  
ზღაურებთ გაწეულ შრომას.

ასეთ ვენახს თამამად შეუძლია ერთ ქცევაზე  
30 საპალნე (სამასი ფუთი) ლვინო მოგცესთ წლი-  
ურად.

და, ამ გარემოებას-კი (ე. ი. მცირეოდენ აუგი-  
ლიდან მეტი მოსავლის მიღებას) ფრიად დიდი მნი-  
შვნელობა ექნება ჩვენი ქვეყნისათვის, სადაც მშრო-  
მელ გლეხობას მიწის სიცოტავე სულს უხუთავს,  
რის გამოც იგი დღეს საშინელ გაჭირვებულ მდგო-  
მარეობაშია.

## ს ა რ ჩ ე 3 0:

|  |     |
|--|-----|
| წინასიტყვაობა . . . . .  | 83. |
| სავენახე ნიადაგის ამორჩევა . . . . .                           | 3   |
| სავენახე ნიადაგის შემოწმება . . . . .                          | 5   |
| მამულის შემოლობვა . . . . .                                    | 9   |
| მიწის გადაბრუნება . . . . .                                    | 13  |
| ფერდობებზე ვენახების დაცვა მძლავრი წვიმებისა-<br>გან . . . . . | 17  |
| ვაზის ჯიშების ამორჩევა . . . . .                               | 30  |
| ამერიკული ვაზის საძირე ჯიშების ამორჩევა . . . . .              | 35  |
| ნამყენი ვაზის შენახვა დარგვამდე . . . . .                      | 38  |
| ვენახის დაგეგმვა . . . . .                                     | 42  |
| როგორ უნდა დაიგეკმოს სავენახე ადგილი . . . . .                 | 45  |
| ვაზის დარგვა . . . . .   | 51  |
| ახლად დარგული ნამყენი ვაზის მოვლა პარველ<br>წელში . . . . .    | 54  |
| ფერს ვების შეცრა ახალ დარგულ ნამყენ ვენახში . . . . .          | 60  |
| ვაზების ჩამატება ახალშენ ნამყენ ვენახში . . . . .              | 65  |
| ახალგაზრდა ვაზის მოვლა მეორე წლის განმავლობაში . . . . .       | 70  |
| ვაზის მოვლა მესამე წელში . . . . .                             | 73  |
| მეოთხე წლის მოვლა (ვაზის ტანის გამოყვანა) . . . . .            | 77  |
| მეხუთე წლის მოვლა (ვაზის ფორმის გამოყვანა) . . . . .           | 80  |
| მოვლა მეექვთე ზამდიდებების წლებში . . . . .                    | 85  |
| ვენახის გაპოხიერება . . . . .                                  | 88  |
|  | 91  |



ფასი.

მ.

|   |     |
|---|-----|
| მრ. ნაკაშიძე — ჩაის ბუჩქი, მისი გაშენე- |     |
| ბა და მოყლა . . . . .                   | 50  |
| საზაზაფხულო თავსის ქამანისათვის         | 25— |
| პ. ფარევიშვილი — ცხენის ჭიდვა . . . .   | 2 — |
| ი. ჩირაძე — მეფერინველეობა . . . .      | 1 — |
| ი. ჩოხალი — პირველი დამარება უბე-       |     |
| დურ შემთხვევაში . . . . .               | 1 — |
| ი. ჩოხალი — ვენერიული სენი . . . .      | 60  |

—

34036870  
253-40003